საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 3 აპრილი, 2009 წელი.

№ 63 (6164)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეთი სიფიცეა, ცეცხლებით და ჭიხვებით ბუჩთის გაცანა ცეცლა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

რატომ აბროვებენ პოლიციელები მოქალაქეთა მონაცემებს?

8

როცა ცხრა აპრილი მოდის...

2



სალომე ზურაბიშვილი:

ვისაც ნერვები უმტყუნებს, ის წააგებს

4

ისევ გვაბოლებ ხომ, კეი ბატონო!

6

გამდის და რატომაც არ ვქნაო, ამბობ? მაგასაც ვნახავთ ერთ დროს...

„თუ არ მოგწონთ ჩვენი პირობები, შეგიძლიათ, მიბრძანდეთ, შეშფოთება ცვენაა!“

5-6

ასე ეუბნებიან თანამშრომლებს ყვითელი ავტობუსების საუფლოში, სადაც, როგორც ჩანს, ფერადოვანი კი არა, ერთობ მრუმე ვითარება-განწყობაა

8

საზოგადოებრივი მაუწყებელი ბიუჯეტის თანხებს არამიზნობრივად ფლანგავს?

2

თანამედროვე ნაცარქექიები

5

ასმა ახალმა საავადმყოფომ ჩაილურის წყალი დალია

3

16-ლარიანი მათხოვარი სახელმწიფო

2

რატომ მალავს ვინაობას თეთრი სახლის მაღალჩინოსანი?

◎ პოლიტიკა

თეთრმა სახლმა და კრემლმა კავკასია ვერ გაიყვეს

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის შეფასებით, თეთრ სახლსა და კრემლს შორის კავკასიის საკითხებში აზრთა სხვადასხვაობა თბილისისთვის სასიამოვნო ფაქტია.

საყვარელიძის აზრით, ის რომ ობამა-მედვედევის ლონდონში გამართული პირველი შეხვედრის შემდეგ მხარეებმა კავკასიის საკითხებში თავისი განსხვავებული პოზიციები დააფიქსირეს, იმაზე მიუთითებს, რომ ობამა ერთგულია აშშ-ს ახალი ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული საგარეო პოლიტიკისა, რომელითაც ვაშინგტონმა ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ მას რუსეთთან სურს დიალოგი და ნორმალური ურთიერთობები, მაგრამ არა პრინციპულ საკითხებში დათმობების ხარჯზე.

პოლიტოლოგის აზრით, მხარეებმა ლონდონში გამართულ შეხვედრაზე მათთვის მნიშვნელოვან და პრინციპულ საკითხებზე ერთმანეთის პოზიციები მოსინჯეს და ამ საკითხების ფასიც გაარკვიეს, ამის შემდეგ მათ შორის დაიწყება ვაჭრობა, თუ ვინ რისი დამთმობია.

საყვარელიძე, ასევე, ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ აშშ-ს მხრიდან კავკასიის საკითხებით დაინტერესება ამ რეგიონში ენერგოშემცველების ტრანზიტის პერსპექტივას უკავშირდება და რომ სახელმწიფოები პოლიტიკის წარმოებისას არა სიყვარულით, არამედ პრაგმატული ინტერესებით ხელმძღვანელობენ.

რატომ მალავს ვინაობას თეთრი სახლის მაღალჩინოსანი?

აშშ-სა და რუსეთის პრეზიდენტების მოლაპარაკების დროს სერიოზული უთანხმოება იყო საქართველოს საკითხთან მიმართებაში. ამის შესახებ, რადიო „თავისუფლების“ ინფორმაციით, თეთრი სახლის ადმინისტრაციის მაღალი რანგის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომელმაც ვინაობის საჯაროდ გამხელა არ ისურვა.

თეთრი სახლის წარმომადგენლის ინფორმაციით, აშშ არასოდეს აღიარებს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობას და პრეზიდენტმა ობამამ ეს მკაფიოდ განაცხადა.

მისივე თქმით, რუს კოლეგასთან შეხვედრისას ბარაკ ობამამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ 21-ე საუკუნეში „გავლენის სფეროების“ ცნობა მიუღებელია.

ინტერპრესნიუსი

◎ აგენტომანია

თანამედროვე ნაცარქექიები,

ანუ სინამდვილეში ვინ არის აგენტი და ქვეყნის დამზარალებელი?

როგორ უყვარს ხელისუფლებას აგენტების ძებნა! რამდენიმე წლის წინათ თვით კანცელარიაშიც, კერძოდ, პრესსამსახურშიც „აღმოაჩინეს აგენტი“ სიმონ კილაძე, მაგრამ თუ რომელი ქვეყნისა, ამის შესახებ არ განუცხადებიათ.

უმრავლესობა მღელვარებამ მოიცვა, ვაითუ, კილაძემ ჩვენს მიერ ურანის გამდიდრების საიდუმლო გასცაროს. მახსოვს, მაშინ პრეზიდენტმა სპეციალური ბრძანებაც კი გამოსცა: აგენტებო, დროზე ალიარეთ დანაშაული, მცირე დრო გაქვთ, გაპატიებთ, ერთი ღერი თმა არ ჩამოგივარდებათ, სიტყვას გაძლევთო. რამდენი კეთილშობილება, ჰუმანურობა იკითხება ამ ბრძანებაში.

და აი, ახლა კვლავ საოცარი ძალით იმძლავრა აგენტების ძებნის მანიამ! აგენტების გამოვლენაში თვით კინემატოგრაფიაც ჩაერთო უმაღლესი პროფესიონალიზმით. დასანანია, რომ მსოფლიო კინოხელოვნება ჯერ არ იცნობს კინემატოგრაფისტთა ამ ჯგუფს, არც მსახიობებს, არც რეჟისორს, ოპერატორს და სცენარისტს.

ხელისუფლებამ აირჩია ხალხზე ზემოქმედების საკუთარი პოლიტიკა: გამოიყენა თვალში ნაცრის შეყრის ნაცადი მეთოდი.

უდიდესი მოაზროვნე ოშო აღნიშნავდა, რომ „ხელისუფალთა სიძლიერე ემყარება ადამიანთა უმეცრებას, გაუნათლებლობას“. ცნობილია, რომ ხელისუფალნი ვერაფერუებით და სჯით ან მოაზროვნეებს. იესო ქრისტეც ხომ ამიტომ დასაჯეს. დასაჯეს სოკრატეც – აიძულეს შეესვა საწამლავი. საქართველოს ხელისუფალთა პოლიტიკა ბინძური, ტყუილზე, ფლიდობაზე, ძალადობაზე დაფუძნებული ბიზნესია.

სად ვეძებოთ აგენტები, ხელისუფლებაში თუ ოპოზიციაში?

ამაზე პასუხის გამცემად არ გამოვდგები, მაგრამ რამდენიმე ისეთ ფაქტს კი ჩამოვთვლი, ნაღდად აგენტთა „გაიმასქნებულს“ რომ ჰგავს: რუსეთის თვის ლამის მთელი ქვეყნის ეკონომიკისა და ენერგოსისტემის სრული დაქვემდებარება; ცხინვალის რეგიონის სამხრეთ ოსეთად აღიარება, კოდორის ხეობის ზემო აფხაზეთად გამოცხადება და მერე იქ არსებული დიდძალი სამხედრო ტექნიკის რუსეთისთვის დატოვება; ბრიყვულად დაკარგული ტერიტორიები; უაზრო მსხვერპლი; დამარცხების გამარჯვებად აღიარება და მრავალი სხვა.

ისმება ლოგიკური კითხვა: ვის სასარგებლოდ ინგრევა ქვეყანა? სად ვეძებოთ აგენტები? ხელისუფლების ორმაგი თამაში რუსეთის წისქვილზე მიუშვებს წყალს. პუტინის რუსეთს სწორედაც რომ აძლევს ხელს ასეთი საქართველო და ასეთი პრეზიდენტი.

ხელისუფალნო, ნუ გვაყრით ნაცარს თვალებში! ან სად შოულობთ ამდენ ნაცარს?!

ლონდა მდივანი

◎ განსჯა

როცა ცხრა აპრილი მოდის...

ალბათ ბევრი განმირისხდება, მაგრამ უნდა შეგვეძლოს ყველაფრისთვის თავისი სახელის დარქმევა

დიახ, ჩვენი ახალი ისტორიის ეს ტრაგიკული ყოველწლიური თარიღი რომ გვიახლოვდება, სხვა მწარე ფიქრებს შორის ერთი მწვავეც ამოტივტივდება ხოლმე: როგორ მიატოვეს არაფორმალთა ლიდერებმა (მაშინდელი ტერმინოლოგიით ძ იმდენათასიანი ხალხი იმ ავბედით ღამეს, როგორ გაილალნენ სახლებში და როგორ შერჩათ, რა ადვილად ეპატიათ და დაუვიწყეს ეს ამოლენა ცოლვა, ეგეც უფრო მეტიც – დანაშაული.

ერთადერთი იმჟამინდელი ლიდერი, ვინც გაპარვა არ იკადრა და უამრავი მომიტინგე არ მიატოვა, **გახლდათ ირაკლი გათიაშვილი** (რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ერთადერთი!ძ. **აფერუმ იმის ვაჭკაცობას!**

1989 წლის 9 აპრილის უგედურების შემდეგ „მრგვალი“ 20 წელი გავიდა, რამდენი რამ დაიწერა ამ თემაზე, რა კუთხით, რა თვალთახედვით არ გაირჩა ის, მაგრამ „კოლექტიური“ გაპარვის გახსენებასა თუ მოხსენიებას კი ყველა ერიდება, „დელიკატურ“ დუმილს არჩევს.

არადა, ასეთი საქციელი ხომ უპატიებელია – შენივ მოხმოგებილი, შეკრებილი, შეყრილი მრავალი ათასი ადამიანი შეატოვო რუსულ ხელკეტებს, ხიშტებს, გაზს, ტანკებს და გაქცევით უშველო თავს!

განა იმას ვამბობ, იმ ხიშტებს რატომ მკერდები არ შეუშვირეს, ის გაზები რატომ არ შეისუნთქეს, ან იმ ტანკებს რატომ არ დაუწვნენ-მეთქი, – არა, მაგრამ თავიანთსავე თავმოყრილთ რომ გვერდით არ დაუდგნენ, მორალური მხარდაჭერა რომ არ გაუწიეს, მაღალი ზნეობრიობის მაგალითი რომ არ უჩვენეს, ესაა ჩემთვის გაკვირვების, სინანულისა და დამუნათების საგანი.

უპატიებელია-მეთქი, ვთქვი აქ მე. ვაპატიებთ, შევუნდებთ, ჩავყლაპეთ კი არა, მეტიც – იმ უკადრისი საქციელის, პირდაპირ ვიტყვი, იმ სიმხდალის ჩამდენთაგან ერთი ქვეყნის პრეზიდენტად ავირჩიეთ, მეორე – უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ დავაყენეთ, მესამე, მეოთხე, მეხუთე – მინისტრებად და ასე შემდეგ. ჩემი პირადი შეხედულებით, ასეთ შემთხვევას არ შეეფერება საზოგადოების, მოსახლეობის, ხალხის დიდსულოვნებით, შემწყნარებლობით, მპატიებლობით ახსნა – ეს ჩვენი „არაადეკვატურობა“, ჩვენი მოკლე მეხსიერება უფრო, რაც სხვა დროსაც არაერთხელ გამოგვივლენია...

ყოველთვის მახსოვს ლათინური თქმა – მკვდრებზე ან სულ არაფერი, ან მხოლოდ კარგიო, მაგრამ ლათინებიც ხომ არ იყვნენ შეუმცდარნი! გარდაცვალება ყოველგვარ ცოდვას თუ დანაშაულს რატომ უნდა ფარავდეს! ცხრააპრილელ ლიდერთაგან რამდენიმე წასულია ცხოვრებიდან და შემინდონ იმათმა სულებმა ამნაირი ბრალის დადება, ოღონდ ცოცხლად დარჩენილთაც რომ არცროდის დასტყობიათ მაშინდელი გალალვის გამო მონანიების ბრძნობა?! პირიქით, ისე გადმოდგებიან ტელეეკრანიდან და „გელადურად“ გვიკითხავენ სენტენციებს, თითქოს 9 აპრილის ლაძა არ ეცხოთ.

შარშანდელი აგვისტოს შემდეგ ხომ ვლაპარაკობთ ასე ხშირად და ამდენს – უნდა ვილაპარაკოთ კიდეც – საქართველოს პრეზიდენტის „გორულ“ დედლოგაზე; მაშ 1989 წლის 9 აპრილს არაფორმალთა ლიდერების გუნდური გაპარვა რატომ უნდა მივჩქმალოთ – „სიძველის“ გამო?

მავანმა მკითხველმა ეგებ იფიქროს – მსგავსი საყვედური ადრე რატომ არ გაახმიანე, აქამდე სად იყავიო? სადა და „იქ“ ვიყავი და სხვანაირად არ ძალმიძდა – გამოვაქვეყნე მრავალი წლის წინათ ანალოგიური საპროტესტო წერილი და ახლა კიდევ ერთხელ ვიმაღლებ, როგორც მე მგონია, სიმართლის ხმას. უნდა შეგვეძლოს ყველაფრისათვის თავისი სახელის დარქმევა ცხრა აპრილის ირგვლივაც.

ვშიშობ, რომ არაერთის რისხვას დავიმსახურებ ამ წერილის გამო (რა საკვირველია, თუკი დაისტამბებაძ. რა ვქნა, კვლავ „აქა ვდგავარ და სხვანაირად არ ძალმიძს“...

თამაზ ებანოიძე

◎ ინფორმაცია

„გელით შიშველი ხელებით“

9 აპრილის ორგანიზატორი პარტიების ახალგაზრდულმა ფრთამ ე.წ. მოდულის შენობის წინ აქცია გამართა.

აქციაში „ხალხის პარტიის“, „მოძრაობა ერთიანი საქართველოსა“ და „კონსერვატიული პარტიის“ ახალგაზრდული მოძრაობის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

როგორც აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, „მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ახალგაზრდული მოძრაობის ხელმძღვანელმა ლერი ლაფაჩმა განაცხადა, აქცია გამაფრთხილებელია. ისინი მოუწოდებენ პოლიციასა და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტს, 9 აპრილს არ გამოიყენონ ძალა მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ.

– 9 აპრილს ქართველი ახალგაზრდობა რუსთაველის გამზირზე მივდივართ შიშველი ხელებით, მშვიდობიანი აქციის გამართვის მიზნით და მოვუწოდებთ პატრულს, კუდ-ს, ნუ გახდებიან მართლა მიხეილ სააკაშვილისა და ვანო მერაბიშვილის კუდები, ნუ შეეცდებიან პროვოკაციის მოწყობას, დაიცვან კანონი და საქართველოს ინტერესების შესაბამისად იმოქმედონ, – აცხადებს ლერი ლაფაჩი.

ახალგაზრდებმა ე.წ. მოდულის შენობის წინ რამდენიმე წუთით გზაც გადაკეტეს, შემდეგ კი შენობის ღობეზე გააკრეს მიხეილ სააკაშვილისა და ვანო მერაბიშვილის ფოტოები წარწერით – „გელით შიშველი ხელებით“.

ხელისუფლება ოპოზიციას ამანტაჟებს

„ძართული დასის“ ლიდერი, დეპუტატი ჯონდი ბაღათურია დიალოგის თემად საზოგადოებასა და პოლიტიკური სპექტრისთვის შანსების მიცემას ასახელებს.

როგორც ბაღათურიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, საზოგადოებას და პოლიტიკურ სპექტრს უნდა მიეცეს შანსი, არჩევნების გზით შეიცვალოს ხელისუფლება ამ ქვეყანაში. თუმცა, დეპუტატებმა დიალოგის ამ თემასთან დაკავშირებით საკუთარი ხედვები არ დააკონკრეტა.

ამასთან, „ძართული დასის“ ლიდერმა გუშინაც გააპროტესტა ხელისუფლების მხრიდან შეთავაზებული დიალოგის ფორმა და მას ულტიმატუმი უწოდა.

მისი თქმით, ხელისუფლება ოპოზიციას აშანტაჟებს და, შესაბამისად, ოპოზიციონერი დეპუტატი ხელისუფლებისგან ულტიმატუმის და შანტაჟის შეწყვეტას ითხოვს.

ინტერპრესნიუსი

ოღონდ არ გაგეცინოთ...

16-ლარიანი მათხოვარი სახელმწიფო

მეცნიერებისა და განათლების საპარლამენტო კომიტეტის ოპერატიული მოღვაწეობის იშვიათი ნიმუში

კახა ლომაიას მიერ ჩატარებული რეფორმების შედეგად სამეცნიერო ინსტიტუტებიდან ძუჩაში გამოძევებულ მეცნიერ მოღვაწეებს საკომპენსაციოდ, გული მთლად რომ არ დასწყვეტოდათ, პენსიები კი არა, აკადემიური სტიპენდიები დაუნიშნეს: დოქტორებს 92 ლარი, კანდიდატებს-69 და ა.შ. და ა.შ.

ეს მოხდა 2005 წლის 27 დეკემბერს.

2008 წლის 1 იანვრიდან „სტიპენდია“ 16 ლარით გაიზარდა (ქვეყნის ეკონომიკის ზრდის კვალობაზეძ: დოქტორებს 108 ლარი გაუხდათ, კანდიდატებს-95 და ა.შ.

მაგრამ მომატებული თანხა თურმე „ავტომატურად“ არ გემატება – განცხადებით უნდა მოითხოვო.

რომ მოითხოვო, უნდა იცოდე, რომ მოგიმატეს.

რომ იცოდე, უნდა შეგატყობინონ.

რომ შეგატყობინონ, თანხაც უნდა მოგცენ.

რომ არ მოგცენ, არ შეგატყობინებენ.

ხარ პირდაფჩენილი.

ზოგმა გვიან შეიტყო, რამდენიმე თვის შემდეგ. ზოგმა დღესაც არ იცის.

მე, მაგალითად, შემთხვევით შევიტყვე 9 თვის შემდეგ. განცხადებით კი მოვითხოვე, იანვრიდან გადამიხადეთ-მეთქი, მაგრამ რაკი სექტემბერში მოვითხოვე, ოქტომბრიდან დამენიშნა 108 ლარი. ასე რომ, 9X16 ლარი ტურამ შემიჭამა .

20 ოქტომბერს მივმართე მეცნიერებისა და განათლების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს გიორგი გაბაშვილს, ასეა საქმე და დამეხმარეთ, წართმეული 9X16 ლარი დამიბრუნონ-მეთქი. პასუხი „ოპერატიულად“ 30 ოქტომბერს (10 დღეშიძ მივიღე. პასუხმა თმა ყალყზე დამიყენა: გიორგი გაბაშვილი მწერდა: **2005 წლის 27 დეკემბერს რომ აკადემიური სტიპენდიები გაინაზღვრა, მას შემდეგ მისი ოდენობა არ შეუცვლიათო.**

თუ არ გჯერათ, აძვე გააჩლებთ მისი ხელმოწერით გამოგზავნილ პასუხს (იხ. №1).

გესმით, სტიპენდიის ოდენობა არ შეუცვლიათო.

გ.გაბაშვილი ჭურში ხომ არ ზის-მეთქი, და ვაახლე მეორე განცხადება (30 ოქტომბერსძ: თუ არ შეცვლილა, რატომ ვიღეც შეცვლილ ოდენობას-მეთქი.

მეორე განცხადების პასუხი 4 თვის შემდეგ მოვიდა, ოღონდ პარლამენტიდან კი არა, სოციალური მომსახურების სააგენტოდან: სტიპენდია კი გაიზარდა 2008 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ **„ავტომატურად არ გაზრდილაო“ (იხ. №2).**

ესეც თქვენი 16-ლარიანი მათხოვარი სახელმწიფო.

აქ კიდევ ერთ საჩოთირო, უფრო სწორად, სასაცილო მომენტზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას: **წყალსგატანებულ მეცნიერებს სტიპენდია 5 წლის ვადით დაგვინიშნეს. 5 წლის შემდეგ კი გინდა წყალს წაუღივართ და გინდა მეწყერს, მაინც წყალსგატანებულები გვქვია.**

სტიპენდია 5 წლის ვადით დაგვინიშნეს, სახალხო ბანკის პლასტიკური ბარათების ვადა კი ორნახევარი წლით განგვისაზღვრეს.

გავიდა ორნახევარი წელი და დარჩა



ორნახევარი წელი. პლასტიკური ბარათი გამოგვაცვლევინეს და, ჰოი საკვირველებავ: **ახალი პლასტიკური ბარათის ვადა 10 წლით განისაზღვრა. ორნახევარი წლის შემდეგ რა ჯანდაბად მინდა ეს ბარათი!**

ლოგიკაც ამას ჰქვია.

თუმცა რა ბრძენი ხელისუფლებაცაა, ლოგიკაც ისეთივე ბრძნული აქვს.

რევაზ ჩხარტიშვილი,
წყალს და მეწყერსგატანებული სტიპენდიანტი

აქტუალური ინტერვიუ

ოპოზიციის მიერ 9 აპრილისთვის დაგეგმილი საპროტესტო აქციის წინ ქვეყანაში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაზე „ინტერპრესნიუსი“ ესაუბრა ფსიქოლოგს, პროფესორ ნოდარ სარჯველაძეს.

ნოდარ სარჯველაძე: ვითარება იმის გამო არ არის კრიზისული, რომ არის ბრძოლა არა ქვეყნის მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, არამედ ძალაუფლებისთვის

– როგორ შეაფასებთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში შექმნილ ვითარებას, 9 აპრილის წინ ხელისუფლება-ოპოზიციის დაპირისპირებას?

– სიტუაცია, რა თქმა უნდა, კრიზისულია. კრიზისული იმიტომ კი არ არის, რომ ვილაცა ვილაცას ლანძღავს, და ყველა თავს იმართლებს. ვითარება იმის გამო კრიზისული, რომ არის ბრძოლა არა ქვეყნის მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, არამედ ძალაუფლებისთვის.

ახლა საკითხი ასე დგას – ვინ ვის? არავინ ფიქრობს მოდელზე – „მეც კარგად, შენც კარგად, მეც მოვიგო და შენც“. ყველა ფიქრობს მოდელზე – „მე მოვიგო და შენ დამარცხდე“. ამ თემის ირგვლივ ტრიალებს და მუშაობს მთელი სოციუმი, რაც ულრმესი კრიზისის ნიშანია. პატარა ერში ფრაგმენტაციის დონე საკმაოდ დიდია.

და ეს მაშინ, როცა დღეს საქართველოს, როგორც ქვეყანას, უამრავი პრობლემა აქვს. ვგულისხმობ დაკარგულ ტერიტორიებს, ერთმანეთისადმი დაკარგულ ნდობას. ამაზე თვალის დახუჭვა საჭირო არ არის. ის, რაც ხდება, საზოგადოების ფრაგმენტაციის მაღალ დონეზე მეტყველებს და ეს პროცესი რომ ძალიან მტკივნეულია, ყველა ხედავს.

– ხელისუფლება-ოპოზიციის დაპირისპირების ფონზე ვითარების განმუხტვის საშუალება, ყოველ შემთხვევაში ჯერ, არ ჩანს, მაგრამ, თქვენი აზრით, ოპოზიციამ რატომ აირჩია აქციის გამართვის დღედ სწორედ 9 აპრილი?

– 9 აპრილი არის ეროვნული კონსოლიდაციის სიმბოლო, მეორე მხრივ, ეს თარიღი არის მსხვერპლის სიმბოლო, გარდა ამისა, ეს თარიღი არის ეროვნული დამოუკიდებლობის გამოცხადების სიმბოლო. სხვათა შორის, 9 აპრილი უკავშირდება პრეზიდენტად შევარდნაძის არჩევას. ასე რომ, ეს თარიღი ასევე არის საპრეზიდენტო ხელისუფლების გაძლიერების სიმბოლოც. როგორც ხედავთ, ამ თარიღში წინააღმდეგობრივი სიმბოლოებია ჩადებული.

მე ფატალისტი და ასტროლოგი არა ვარ, მაგრამ სიმბოლოებს თავისებური ძალა აქვს. საუბარია იმ საზრისებზე, რაც 9 აპრილს უკავშირდება. აქედან გამომდინარე წლევანდელ 9 აპრილს იქნება როგორც ოპოზიციური ძალების, ასევე სამთავრობო ძალების კონსოლიდაცია.

ბევრი საუბრობს მსხვერპლის შესაძლებლობაზე და ღმერთმა ნუ ქნას. არარაციონალურობის მსხვერპლი უკვე გაღებულია. მოკლედ, ახლა ყველანაირად უნდა ავირიდოთ მსხვერპლი.

სხვა მხრივაც საინტერესოა წლევანდელი 9 აპრილი. დადგა ჟამი, როცა ხელახლა უნდა გადავხედოთ ჩვენს პოზიციებს და მოუკიდებლობასთან მიმართებაში და გავერკვეთ, რაშია ჩვენი დამოუკიდებლობის საზრისი. ეს თემა მჭიდროდ უკავშირდება სახელმწიფოს მოწყობის საკითხს. ანუ იმას, თუ როგორი სახელმწიფო გვინდა ჩვენ. ამისთვის კი უნდა გავერკვეთ, თუ რატომ ახლავს ჩვენთან პრეზიდენტის ინსტიტუტს ავტორიტარიზმი? უნდა ვიფიქროთ თუ არა მმართველობის სხვა განსხვავებულ ფორმებზე? ამ თემების გააზრების ზღვარზე რეალურად ვდგავართ და ეს თემები ალბათ გაიჟღერებს საპროტესტო აქციებზე. მართო გადადეძი-გადმოდეძის ძახილი ძალიან პრიმიტიულია.

9 აპრილი საინტერესოა იმითაც, რომ შევარდნაძე სწორედ 9 აპრილს აირჩა პრეზიდენტად. შესაძლოა გაუცნობიერებლად, მაგრამ მაინც ამ თარიღს უკავშირდება გარკვეული საპრეზიდენტო ხელისუფლების ძალმოსილების მეტამორფოზა. ჩემი აზრით, მას ეს გაცნობიერებული არა აქვს, მაგრამ ეს რომ ასე გამოვიდა, ფაქტია. ამ ფონზე საუბარი შეიძლება იყოს საპრეზიდენტო ხელისუფლების დარჩენაზე და იმაზე, რომ მოხდეს ამ ინსტიტუტის მეტამორფოზა, ანუ, რაღაც ფორმით სახეცვლილება. სხვა სიტყვებით, ხომ არ ვიფიქროთ უკეთესი პრეზიდენტის არჩევით ახალ საპრეზიდენტო არჩევნებზე.

– ოპოზიცია საზოგადოებას დიდ მოლოდინს უქმნის, თავის მხრივ, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ საზოგადოებას ხელისუფლების რაიმენაირი ცვლილების მოლოდინი არ ჰქონდეს. თქვენი ვარაუდით, რას შეიძლება ველოდოთ 9 აპრილს და შემდგომ დღეებში?

– მოსახლეობას ოპოზიციის მოლოდინი აქვს, მაგრამ იმავდროულად, მოსახლეობას ოპოზიციის იმედი არა აქვს. ანუ, თან აქვს, თან არა აქვს. საზოგადოებას ოპოზიციისგან რაღაცის მოლოდინი აქვს, მაგრამ არა აქვს გამოკვეთილი იმედი, რომ ოპოზიცია რაღაც სასიკეთოს მოიფიქრებს. გადაყენება, როგორც სასიკეთო მოვლენა, არ ალიძგება იმიტომ, რომ რაღაცის ნეგაცია და უარყოფაა და არა დადებითის დაფუძნება. სააკაშვილის გადაყენების მოლოდინი არის, მაგრამ საკუთრივ ოპოზიციისადმი გამოკვეთილი, სასიკეთო მოლოდინები არ ჩანს. მოლოდინი არის უფრო ნეგატიურისკენ, ანუ გადაყენებისკენ და კიდევ ახალ გაურკვევლობაში ჩადგომისკენ.

იხ. 4 გვ.

ინფორმაცია

სააკაშვილმა „ნაყაჩაღარი მთაწმინდის პარკი“ არ უნდა გახსნასო

9 აპრილის ახალგაზრდული შტაბი მიხეილ სააკაშვილს აფრთხილებს, „ნაყაჩაღარი მთაწმინდის პარკის“ გახსნა არ გაბედოს.

მთაწმინდის პარკის ასასვლელთან ახალგაზრდული შტაბის წარმომდგენლებმა გუშინ ბრიფინგი გამართეს და განაცხადეს, რომ არ დაუშვებენ ბადრი პატარაკაციშვილის ბანდიტური გზით წართმეული ქონების სააკაშვილის მიერ გახსნის ფაქტს.

როგორც შტაბის წევრმა დაჩი ცაგურიამ განაცხადა, ბევრი ბავშვი იქნება იმ დროს მთაწმინდის პარკში და ჩვენ გავმართავთ მშვიდობიან აქციას. თუ ხელისუფლება გამოიყენებს ძალას, ეს მათი პასუხისმგებლობა იქნება. ეს პარკი ბანდიტური გზით არის წართმეული, ბადრი პატარკაციშვილის საკუთრებაა და სააკაშვილს არანაირი უფლება არ აქვს ნაყაჩაღარი პარკი გახსნას. გახსნის დღე გასაიდუმლოებულია, – განაცხადა დაჩი ცაგურიამ და აღნიშნა, რომ როდესაც მიხეილ სააკაშვილი გახსნის მთაწმინდის პარკს, ისინი საქართველოს პრეზიდენტს სირცხვილის კორიდორს მოუწყობენ.

ჯაბა ჯიშკარიანის თქმით კი, მთაწმინდის პარკი უკვე გახსნილია და ბადრი პატარკაციშვილს ეკუთვნის.

თუ მივა მიხეილ სააკაშვილი პარკის გახსნაზე, ჩვენ მას დარაზმულები დავხვდებით და ჩავუმწარებთ. ეს პარკი ბადრი პატარკაციშვილს ეკუთვნის და ვაფრთხილებთ პრეზიდენტს, არ გაბედოს პარკის გახსნა, – განაცხადა ჯაბა ჯიშკარიანმა.

ინტერპრესნიუსი

პოზიცია

2009 წლის 9 აპრილი, 1989 წლის და 1991 წლის 9 აპრილების შემდეგ, მესამე იქნება, რომელიც საქართველოს ისტორიაში ჩაიწერება, სისხლიანი თუ მშვიდობიანი, ამას უახლოესი დღეების განმავლობაში ვნახავთ, თუმცა იქამდე „ჯი-ეიჩ-ენთან“ ინტერვიუში საპროტესტო მიტინგების ერთ-ერთი ორგანიზატორი, „საქართველოს გზის“ ლიდერი სალომე ზურაბიშვილი არ მალავს, რომ 1989 წლის და 2009 წლის 9 აპრილებს შორის ერთი მსგავსება ნამდვილად იქნება - ხალხის განწყობა და მზადყოფნა ბოლომდე, ხელისუფლების შეცვლამდე საბრძოლველად...

სალომე ზურაბიშვილი: ვისაც ნერვები უმტყუნებს, ის წააგებს

— ქალბატონო სალომე, 9 აპრილამდე მხოლოდ რამდენიმე დღე დარჩა. როგორ ფიქრობთ, როგორ ჩაიწერება ამჯერად 2009 წლის 9 აპრილი?

— როგორც ხალხის ნების გამოხატვა, რადგან 9 აპრილს არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ გამოვა მთელი ქვეყნის მოსახლეობა. სხვათა შორის, იმის დასტურს, რომ საქართველოს არალეგიტიმური ხელისუფლება ჰყავს, საზღვარგარეთაც ელოდებიან და ელოდებიან სწორედ 9 აპრილს დაგეგმილ აქციაზე მისული ხალხის სიმრავლით. 9 აპრილი უპირველესად იქნება ის დღე, როცა ამ ხელისუფლებას საზოგადოება დაუმტკიცებს, რომ უფლებამოსილების მანდატს აღარ აძლევს.

— აქვს თუ არა ოპოზიციას ტაქტიკური გეგმები, რითაც ხელისუფლების შეცვლის მიღწევა სურს?

— არავითარი ტაქტიკა და საიდუმლო გეგმები ჩვენ არ გვაქვს. ხელისუფლების წასვლის ერთადერთი გარანტი ხალხი და მისი ნებაა. მსოფლიო ისტორიას არც ერთი მაგალითი არ ახსოვს, რომ ერს ხელისუფლებისთვის უნდობლობა გამოეცხადებინოს და ეს პროცესი ხელისუფლების გადადგომით არ დასრულებულიყოს. გამონაკლისი არც საქართველო იქნება. ჩვენი ბრძოლაც დასრულდება არსებული ხელისუფლების წასვლით.

— პოლიტიკური უმცირესობის მსგავსად, ხელისუფლებაც ამტკიცებს, რომ უამრავი მომხრე ჰყავს., თუნდაც ემიგრაციაში მყოფი ქართველების უმეტესი ნაწილი...

— სხვათა შორის, გავრცელებული ინფორმაციით, ხელისუფლება თავისი მომხრეების შეკრებას 7 აპრილს აპირებდა, რისთვისაც მოსახლეობის რეგიონებიდან ჩამოყვანა ჰქონდა დაგეგმილი. პირადად მე, ამ იდეას მივესალმები. ძალიან კარგი იქნება, თუ რეგიონებიდან მოსახლეობის დედაქალაქში ჩამოყვანის ორგანიზებას ხელისუფლება საკუთარ თავზე აიღებს. ყველას მოვუწოდებ, დათანხმდნენ თბილისში ჩამოსვლას. იგივეს ვურჩევ მათაც, რომელთა ჩამოყვანაც ხელისუფლებას უცხოეთიდან სურს. მართალია, საზღვარგარეთ ქართულ დიასპორებში არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ხელისუფლება მართავს რაღაცის გულისთვის ყველაფერზე წავლენ, მაგრამ მთლიანობაში ქართული დიასპორის დიდი ნაწილი მხარს სააკაშვილს არ უჭერს.

— როგორ ფიქრობთ, რამდენად შეიძლება „ნაციონალურ მოძრაობას“ მიხეილ სააკაშვილის გარეშე გაუჩნდეს პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის სურვილი?

— ეს გამორიცხულია, რადგან „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც პარტია არ არსებობს. ეს არის ფიქცია ფულით, ძალით ან დაძალებით მოსული ადამიანებისა.

— დავუშვათ, როგორც თქვენ აცხადებთ, ხალხმა მიაღწია მიზანს. რა იქნება პირობით 10 აპრილს?

— ეს ძალიან საინტერესო შეკითხვაა. „10“-ში იქნება მიღწეული პირველი წარმატება, რასაც ხალხის მასობრივი გამოსვლა ჰქვია.

— ხელისუფლებას აქვს თავდაცვის ბერკეტები, თუნდაც წესრიგის დამყარების უფლება...

— თუ ხელისუფლება იარაღს მიმართავს, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ მას ნერვებმა უმტყუნა. ის კი, ვინც ნერვებს ვერ აკონტროლებს, ბრძოლას აგებს. ოპოზიციის მიერ იარაღის აღება კი, გამორიცხულია.

— და მაინც, თუ აპრილში 7 ნოემბრის სცენარი განმეორდა რა რეაგირებას უნდა ელოდოს ხელისუფლება საერთაშორისო თანამეგობრობისგან?

— დღეს უარესი სიტუაციაა, ვიდრე 7 ნოემბერს. ომის შემდეგ მიშას საერთაშორისო თანამეგობრობამ გაფრთხილება — არ გაბედოს კიდევ ერთხელ ძალის გამოყენება, უკვე მისცა. სააკაშვილს პირდაპირ უთხრეს, რომ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ძალა ორჯერ — ჯერ თბილისში, 7 ნოემბრის მოვლენების დროს, მეორედ კი აგვისტოში — ოსების წინააღმდეგ გამოიყენა. ამის შემდეგ, როგორც კი ის მსგავს ქმედებას მესამედაც გაბედავს და გაიმეორებს, მისი ხელისუფლება დამთავრდება.

სხვათა შორის, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველო უცხოური დახმარებების ხარჯზე ცხოვრობს. საკუთარი ხალხის წინააღმდეგ კიდევ ერთხელ ძალის გამოყენება საკმარისი იქნება იმისთვის, რომ ქვეყანაში დახმარების სახის ერთი თეთრიც აღარ შემოვა.

შევარდნაძის მმართველობის ბოლოს, ქვეყანა ზუსტად ისეთი საშიშროების წინაშე იდგა, როგორშიც ახლა იმყოფება. იდგა საქართველოს ბანკროტად გამოცხადების საკითხი, რადგან მაშინაც, როგორც ახლა, ეკონომიკა ნულის ტოლი და მოჩვენებითი იყო.

— მაგრამ, თავის მხრივ, ხელისუფლება აცხადებს, რომ თქვენ არ ითვალისწინებთ საფრთხეებს, თუნდაც რუსეთის ფაქტორს, რომელთანაც ქვეყანა ფაქტობრივად საომარ მდგომარეობაშია.

— მე არ მჯერა იმის, რომ რუსეთისგან დღესდღეობით რაიმე საფრთხეს უნდა ველოდოთ, მით უფრო იმ ფონზე, როცა მოსკოვმა აშშ-სა და ევროკავშირთან ურთიერთობის აღდგენა დაიწყო. საქართველოდან რუსეთმა უკვე ყველაფერი მიიღო, რისი მიღებაც სურდა და შეეძლო. ახლა მოსკოვისთვის შეერთებულ შტატებთან და ევროკავშირთან რიგ საკითხებზე მოლაპარაკებები უფრო მნიშვნელოვანია. ასე რომ, დღეს მოსკოვის ინტერესში საქართველოსთან ახალი კონფლიქტი ნაკლებად უნდა შედიოდეს.

აშშ-სა და ევროკავშირთან მოსკოვის ურთიერთობებსაც რომ თავი დავანებოთ, რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ მორიგი აგრესიის დაწყება და იმ პროცესების შეჩერება, რაც აპრილში გვაქვს დაგეგმილი, არ აწყობს, რადგან მაშინ გამოვა, რომ მოსკოვი ხელისუფლებაში სააკაშვილის დარჩენას უწყობს ხელს.

— მხოლოდ აღნიშნული ლოგიკიდან გამომდინარე გამორიცხავთ ასე კატეგორიულად პროვოკაციას?

— მგონი, საკმარისი არგუმენტია. ვაფრთხილებ რუსეთს, რომ არ აჰყვეს არანაირ პროვოკაციას, რადგან, დარწმუნებული ვარ, ის მიხეილ სააკაშვილის მიერ იქნება პროვოცირებული. აპრილში საქართველოში დაგეგმილი აქციების პერიოდში რუსეთის მიერ ნებისმიერი ფორმით იარაღის ჩხარუნი იქნება დასტური იმისა, რომ მოსკოვი მიხეილ სააკაშვილს უჭერს მხარს.

იხ. 7 გვ.

ინფორმაცია

სუზარი - საპატრულო პოლიციისა და პრეზიდენტის დაცვის წინააღმდეგ

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებს 23 მარტს უკანონოდ ეშლებოდათ ხელი „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ დაკავებული წევრების მონახულებაში, — ამის შესახებ სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა გუშინდელ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა.

პრესკონფერენციაზე საუბარი იყო, აგრეთვე, 31 მარტს რესტორან „მეიდანთან“ ახალგაზრდული შტაბის წარმომადგენლების მიმართ საპატრულო პოლიციისა და პრეზიდენტის დაცვის მიერ გამოჩენილი სისასტიკის შესახებ.

— რაც შეეხება 23 მარტს დაკავებულებს, ჩვენ მოვითხოვეთ შინაგან საქმეთა სამინისტროსგან ინფორმაცია, თუ სად იმყოფებოდნენ იმ დროს დაკავებული პირები, თუმცა საპასუხო ინფორმაცია დღემდე არ მიგვიღია, — აღნიშნა სოზარ სუბარმა.

სახალხო დამცველის მოადგილის გიორგი ჩხაიძის განცხადებით კი, იგი უკანონოდ არ შეუშვეს ე.წ. მოდულის შენობაში, სადაც, მისი ინფორმაციით, 23 მარტს დაკავებულები იმყოფებოდნენ.

ნახევარი საათის განმავლობაში ამაოდ ვცდილობდით, შენობაში შეგვეღწია, მოგვიანებით შენობაში შეგვიშვეს, მაგრამ, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, დაკავებულები იმ დროისთვის უკვე ეზოში ჰყავდათ გამოყვანილი და მანქანებში გადამალეს. ამდენად, ჩვენ მათ მონახულება ვერ მოვახერხეთ, — განაცხადა გიორგი ჩხაიძემ.

31 მარტს რესტორან „მეიდანთან“ ახალგაზრდული შტაბის წარმომადგენლების აქციასთან დაკავშირებით კი, სოზარ სუბარმა განაცხადა, რომ აქციის მონაწილეებსა და ტელეკომპანია „მაესტროს“ ჟურნალისტსა და ოპერატორს პოლიციელებმა და პრეზიდენტის დაცვამ შეურაცხყოფა მიაყენეს.

— მათ წაართვეს ფირი, რომელზეც აღბეჭდილი იყო აქციის მონაწილეთა ცემისა და დაკავების ფაქტები. სამართალდამცავებმა დააზიანეს ტელეკომპანია „მაესტროს“ ვიდეოკამერა, — განაცხადა სოზარ სუბარმა.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ სასამართლოს მიერ ოთხი დაკავებულისთვის 400-ლარიანი ჯარიმის დაკისრება უკანონოა, რამდენადაც მათ ადმინისტრაციული კოდექსი არ დაურღვევიათ.

ინტერპრესნიუსი

აქტუალური ინტერვიუ

ნოდარ სარჯველაძე: ვითარება იმის გამოა კრიზისული, რომ არის ბრძოლა არა ქვეყნის მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, არამედ ძალაუფლებისთვის

(მესამე გვერდიდან)

მეორე მხრივ, ხელისუფლებას ძალის გამოყენების საშუალებითა და ტელევიზიების ჩათვლით გაცილებით მეტი რესურსი და ბერკეტი აქვს, ვიდრე ოპოზიციას. ორივე დარწმუნებულია საკუთარ ძალებში და არც ერთი მხარე არ არის დათმობაზე და კომპრომისზე ორიენტირებული. ასეთ სიტუაციაში ძნელი სათქმელია, როგორ წავა ვითარება განმუხტვისკენ. ამ სიტუაციას შეიძლება უშველოს კარგმა სიცილმა და ღიმილმა. თუ ვითარებას სერიოზულად შეხედე, მაშინ დრამატიზმთან გვაქვს საქმე და რაღაც უნდა აფეთქდეს, მე კი ეს არ მინდა და ასეთი სცენა არც მინდა ვიხილო. მინდა ვითარებას ირონიულად შევხედო, თუმცა ვიცი, რომ ასეთი დამოკიდებულება თავდაცვითი რეაქციაა, მაგრამ ვხედავ, რომ უაზრობასთან ბრძოლა მხოლოდ ირონიით შეიძლება. ჩემი აზრით, რაც ხდება, ამას საზრისი არა აქვს.

გასაგებია, რომ პრეზიდენტი უნდა გადადგეს, როგორც უვარგისი პრეზიდენტი, რომელმაც საქმე ომამდე მიიყვანა, ეს ყველაფერი სწორი და ბუნებრივია და ესეც უნდა მოხდეს, მაგრამ როცა პრეზიდენტი ჯიბრზე დგას და გადადგომას არ აპირებს, ამ სიტუაციაში კიდევ დაჟინებით გადადგომის მოთხოვნა შედეგს არ იძლევა. ოპოზიციამ სხვა ხერხებს უნდა მიმართოს. ამას მოფიქრება უნდა, მაგრამ ოპოზიციას ამ თემაზე, შესაძლოა, არც უფიქრია, ან ვერ ხედავს, რომ ალტერნატიული გზები არსებობს. ამის შესახებ საზოგადოებაში უნდა გაიშალოს მსჯელობა. საკითხი ასე რომ დაისვას, პასუხიც მოიძებნება. მაგრამ პრინციპი — სანამ არ დათმობს, მანამდე პასუხი არ არსებობს — ეგეთი რამე წარმოუდგენელია.

რადგან კითხვა არ ისმება, შესაბამისად, ხელისუფლების შეცვლის მზამზარეული მოდელის პასუხი არ არსებობს. სხვა ქვეყნების მაგალითი არაფერი მოდელი არ არის. ჩემი აზრით, მოდელი ადამიანმა შენს თავში უნდა შექმნა. მიბაძვა ყოველთვის არ არის შესაძლებელი და არც ყოველთვის კარგის მომტანი. ზუსტი სახით გამოცდილების გამეორება შეუძლებელია. ხელისუფლების გადასაყენებლად ალტერნატიული გზა მოსაძებნია, მაგრამ ახლა ამისათვის ხალხი და ოპოზიცია მზად არ არის. გასაგებია, რომ ეს ხელისუფლება უუნაროა და მას ხელისუფლების შეცვლის საკითხის დაყენება არც წარმოუდგენია, ვინაიდან მათ შემცვლელად არავინ ესახება. ეს ხელისუფლება თავის თავზეა შეყვარებული, ნარცისიზმით არის შეპყრობილი და, ამდენად, თავის შესაძლებლობებში შეზღუდულია.

— თქვენ თუ აპირებთ ოპოზიციის აქციაში მონაწილეობას?

— სამწუხაროდ, ამ მოვლენებს ვერ დავესწრები, მაგ დროს ერევანში ვიქნები. ვუსურვებ სრულიად საქართველოს, თუ ვითარება ძალიან დაძაბულ წერტილამდე მივიდა, თავი შეიკავოს ისეთი სახის მოქმედებისაგან, რამაც შეიძლება ზიანი მოუტანოს ქვეყანას. დანარჩენი რაც უნდა ის იძახონ, გინდა გადადექი, გინდა გადმოდექი. სხვა რომ არა იყოს, გაზაფხულია და ხალხს ცოტა განმუხტვა და თავისი სათქმელის გამჟღავნება სჭირდება.

ერევანში უნდა დავესწრო დასაქმებისა და სამუშაო ადგილების შექმნის ტექნოლოგიების გერმანელი სპეციალისტის სემინარს. მინდა, რომ ასეთი რამეები საქართველოში დავნერგო. მაქვს ამბიციური გეგმა, რომ საქართველოში ადამიანებმა ცხოვრების საზრისი სხვანაირად შეცვალონ და იგი კეთილდღეობის მარტო სურვილს კი არა, კეთილდღეობის რეალურად შექმნას დაუკავშირონ. ხალხი კეთილდღეობის ძიებაში უნდა იყოს და არა კარგი პრეზიდენტის ძიებაში. ყველამ თავის თავს უნდა მიხედოს. გაუგებარია, რატომ უნდა იცხოვროს რიგითმა მოქალაქემ სააკაშვილის პრობლემებით.

კობა ბენდელიანი

◎ საქალაქო ტრანსპორტი

„თუ არ მოგწონთ ჩვენი პირობები, შეგიძლიათ, მიბრძანდეთ, უმუშევართა ცვენაა!“

ასე ეუბნებიან თანამშრომლებს ყვითელი ავტობუსების საუფლოში, სადაც, როგორც ჩანს, ფერადოვანი კი არა, ერთიც მრუმე ვითარება-განწყობაა

სოციალური და შრომის პირობების გაუმჯობესება, კაბალური კონტრაქტების გადახედვა, შპს „თბილისის ავტობუსის“ გენერალური ინსპექციის მიერ მძღოლების დატერორების შეწყვეტა, — აი, ზოგიერთი ის მოთხოვნა, რომლებიც საავტომობილო ტრანსიორტისა და გზების მუშაკთა პროფკავშირების წევრებმა თბილისის მერიას წაუყენეს და ამასთან დაკავშირებით გასულ კვირას გამაფრთხილებელი აქციაც გამართეს.

ავტობუსების მუშაობა, მავანთა მტკიცების მიუხედავად, მოსახლეობისა და, რაც ასევე მეტად მნიშვნელოვანია, ამ სახეობის საქალაქო ტრანსპორტის მუშაკთა უკმაყოფილებას იწვევს. უარყოფითი მუხტით ისედაც ჭარბად დატვირთულ ჩვენ საზოგადოებაში საქალაქო მეურნეობის ერთი დარგის მომსახურეთა აქცია, თავისთავად, კიდევ ერთი საგანგაშო ნიშანია, ამიტომ ტრანსპორტელთა პრობლემებში გასარკვევად მათი პროფკავშირის თავმჯდომარეს ლავრენტი ალანიას მივაკითხეთ.

...იმ კაცის გვარის და სახელის დასახელება არ მინდა.

— მითხრა საუბრის დაწყებისთანავე ბატონმა ალანიამ. — ამიტომ, თუ არ მიწყენთ, „გენდირექტორად“ მოვიხსენიებ. ჰოდა, უკვე რამდენი ხანია შპს „თბილისის ავტობუსის“ ადმინისტრაციას, მის გენდირექტორს **(ისე კი გენერალური დირექტორია ბესიკ ნათენაძე — ო. ტ.)**, რომელმაც თავისი საქციელით ორგანიზაციაში დასაქმებულ ხალხს თავი მოაბეზრა, მოვუწოდებთ მძღოლებთან უაღრესად უსამართლო შრომითი ხელშეკრულებების პირობები შეცვალონ, მაგრამ საქმეს საშველი არა ადგება. თანაც, იცით, პასუხი რა აქვთ? განმარტებთ, კონტრაქტის რომელი პუნქტი არ მოგწონთ კონკრეტულად. არადა, **ავტოტრანსპორტელებს რომელიმე ერთი პუნქტი კი არა, მთლიანად კონტრაქტის პირობები არ მოგვწონს.** ამის მიზეზი, ზოგადად, ის არის, რომ კონტრაქტში მითითებულია მხოლოდ დასაქმებულის მოვალეობები, დამსაქმებლის ვალდებულებებზე კი ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. თქმა არ უნდა, შრომითი ხელშეკრულების ტექსტის შედგენისას ისედაც უვარგისი „შრომის კოდექსის“ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულად უსამართლო 37-ე მუხლის „დ“ პუნქტით იხელმძღვანელეს, სადაც ლაპარაკია დასაქმებული მუშაკის ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე სამუშაოდან დათხოვნის შესახებ.

საუბრის, ასე ვთქვათ, „ზოგადი“ შესავლის შემდეგ ბატონმა ლავრენტი ალანიამ კონკრეტულად ილაპარაკა დედაქალაქის სამარშრუტო ავტობუსების მძღოლთა მუშაობის, მისივე თქმით, „სრულიად წარმოუდგენელ“ პირობებზე. ხოლო ის, თუ რამდენად მართებულია მისი განმარტება „სრულიად წარმოუდგენელი“, ამის განსჯა თქვენთვის მიგვინდვია, პატივცემულო მკითხველო.

სალარო-საკონტროლო „მაჯლაჯუნები“

თავდაპირველად დავიწყოთ უკვე ყბადაღებული ახალი საკასო-საკონტროლო აპარატებით, რომელთა შემოღების სიკეთე, სიმართლე გითხრათ, გევრი ვერაფერი ვნახეთ, თუ არ ჩავთლით იმას, რომ როცა მგზავრობის ფულს უშუალოდ მძღოლები იღებდნენ და ხალხის სიმრავლით იყვნენ მამა-სისხლად დაინტერესებულნი, ხშირად ერთმანეთის გადასწრებას ცდილობდნენ, რაც ცხადია, უკიდურესად საშიში იყო ყველასთვის. თუ რაოდენ კარგი „მიგნებაა“ მაინცდამაინც ეს აპარატები, ამის თაობაზე, თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო უშროსის აკაკი ჯოხაძისგან განსხვავებით, როგორც რიგით მოქალაქეებს, ისე თავად ავტობუსების მძღოლებს სხვა აზრი გვაქვს, მაგრამ მუნიციპალურ მოხელესთან კამათი ამჯერად სულაც არ არის ჩვენი მიზანი.

ქვითრის (თუ მაინც გილეთის?ძ სალაროდან მოხევისას მგზავრს ნახევი ოდნავ ირიბი თუ გამოუვიდა, ძალალდი სალარო-საკონტროლო აპარატში გაიჭედება და მაშინ მას, ცხადია, შეკეთება სჭირდება, რისთვისაც **მძღოლი ვალდებულია, რომ ავტობუსი რეისიდან მოხსნას, ავტოფარეხში წავიდეს, გამოიძახოს ტექნიკოსი (!) და მერე კიდევ მერიის ნაქები აპარატის გამართვას დაელოდოს.** ამ პროცედურას კი, დაახლოებით, 2-3 საათი (!!ძ სჭირდება. მძღოლებს კი ამ შემთხვევაში ის პროგლემაც აქვთ, რომ ამ **სხვისი მიზეზით დაკარგულ სამუშაოს (საათში 6 ლარს!) დამქირავებელი („თბილისის ავტობუსი“ — ო. ტ.) არ უნაზღაურებს, არადა, იმათვე უვარგისი „შრომის კოდექსის“ 32-ე მუხლშიც კი წერია, რომ ასეთი მოცდენის შემთხვევაში**

იხ. 6 გვ.

◎ ზღაპარ იყო...

ვინ დგას „ბლოკ ჯორჯიას“ შკაფ?

ასმა ახალმა საავადმყოფომ ჩაილურის წყალი დალია

ვინსაც ჩაილურთან გაუვლია და იქაური წყალმარჩხი მდინარისთვის მოუკრავს თვალი, გაუკვირდება, ეს „ნაკადული“ 100 ახალ საავადმყოფოს როგორ უმასპინძლებდაო. ფანტაზია, მეგობრებო, ფანტაზიაl თავქარიანი ხელისუფლება, თუ მას ფანტაზიისა და მეზღაპრეობის მუხტიც უქიქინებს, არათუ სამკურნალო ნაგებობათა ქარავანს, შუა საქართველოში ჰოსპიტალურ მთებსაც კი წამოჭიმავს.

ჰოდა, აბა რა გასაკვირია, თუ ერთ მშვენიერ დღეს, პრეზიდენტ საააკაშვილს დაეზადა ასი საწარმოს, ასი სკოლის, ასი საავადმყოფოს აშენების, ასი ტყუილისა და ზღაპრის შეთხზვის იდეა. მაშ როგორ, დღეს, ევროატლანტიკური ცივილიზაციის ეპოქაში, სად არის იმის დრო და პირობები, ქვეყანა ზოზინით, მცირე ზომის ნაგებობებით აშენო. ამას გლობალიზაციის თანამედროვე ტემპები არ გაპატიებს, ერთიანად გაგთელავს და გაგბანადგურებს.

ამ ტემპებს თუ გავყვებით, ასი ტყუილი ქვეყანას კბილის ქარადაც არ გაჰყვება. ეს უკვე ჩემი შეცდომაა, ვიფიქრე, რადგან ბატონ მიხეილს ყველაფრის შენება ასობით უყვარს, ტუილსაც ასს დასჯერდება-მეთქი, მაგრამ მოვტყუვდი — ის ტყუილები და ზღაპრები, რაც პრეზიდენტმა თავისი მმართველობის წლებში დაახვავა, ასის ფარგლებში ვერაფრით ვერ თავსდება (!ძ.

თუმცა აჯობებს, მიშას ტყუილების თვლას თავი გავანებოთ და კონკრეტულ საქმეს — 100 ახალი საავადმყოფოს მშენებლობის პრობლემას დავუბრუნდეთ. ახლა ამ ტყუილმა, ისევე როგორც პრეზიდენტის გევრმა სხვა ტყუილმა, როგორც უკვე ვთქვით, ჩაილურის წყალი დალია. ახალ საავადმყოფოებს ვინ ჩივის, რაც გვქონდა, ისიც დაინგრა და განიორწყლდა. ამის დასტურია სავალალო სტატისტიკა, რომლის მონაცემებით, საქართველოში საავადმყოფო საწოლების რაოდენობა 18,2 ათასიდან (2003 წ.ძ 14.6 ათასამდე (2007 წ.ძ შემცირდა(!ძ. რაც დრო გადის, ჩვენი მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტები სულ უფრო ძვირი და მიუწვდომელი ხდება.

ვერ ვიტყვით, რომ ამის გამო ღამეები არ სძინავთ იმ ხელისუფალთ, ვისაც საკუთარი ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნვა ევალება. რა მოხდაო, თავს იმშვიდებენ და ჩვენც გვამშვიდებენ „ჯანმრთელობის მამები“, ახალი საავადმყოფოები აქამდე თუ ვერ აშენდა, მომდევნო წლებში უეჭველად აშენდებაო. ჩავარდნილ საქმეს ახსნასაც უძებნიან: წარუმატებლობა იმან გამოიწვია, რომ ორი გაუთვალისწინებელი არჩევნები ჩატარდა, რასაც ზედ ომიც დაერთო და ქვეყანას რაც კი სახსრები გააჩნდა, ყველაფერი შეიწირაო.

ახლა ამას დაუმატეთ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი? მადლობელი იყავით, რომ განკები არ ჩამოიშალა (გვამადლის პრეზიდენტიძ, თორემ ჩვენ ხალხს ფულის შენახვა უკრანელებივით მუთაქებში მოუწევდაო. ბატონ მიხეილს, როცა ამას ამბობს, რატომღაც ავიწყდება, რომ მისი მოსახლეობის 70 პროცენტზე მეტი უმუშევარი და ღატაკია და მუთაქებზე კი არა, ერთთავად იმაზე ფიქრობს, შიმშილს თავი როგორ დააღწიოს.

ხელისუფლებას არც ადრე უსკდებოდა თავი ეკონომიკაზე და ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვით და არც ახლა, როცა გლობალურმა კრიზისმა მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან ერთად, ღატაკ ქვეყნებსაც შეაგვიტია. თუმცა, როგორც ეკონომიკის ექსპერტები ირწმუნებიან, საქართველოში არსებულ ეკონომიკურ კატასტროფას და ჰოსპიტალურ სფეროში შექმნილ მძიმე ვითარებას მსოფლიო ეკონომიკური კრიზისს ნამდვილად ვერ დავაბრალებთ. მათი აზრით, ახალი 100 საავადმყოფოს პროექტი დღენაკლული დაიბადა და თავიდანვე იყო განწირული.

ასე რომ, ჰოსპიტალური პროექტის უდღეურობაში დღეს ეჭვი აღარავის ეპარება, თუმცა ამ პროექტის ირგვლივ საეჭვო „ფუსფუსი“ მაინც არ წყდება. ამ „ფუსფუსის“ მთავარ მოთამაშედ კი ქართულ-ჩეხური კომპანია „ბლოკ ჯორჯია“ აღიქმება. ეს ის კომპანია გახლავთ, რომელსაც ზუგდიდის საავადმყოფო ყოველგვარი ტენდერის გარეშე გადაეცა(!ძ. ასევე, ქუთაისის ინტერვენციული საავადმყოფო, რომლის მშენებლობა და აღჭურვა სახელმწიფოს თავის დროზე 40 მილიონი დოლარი დაუჯდა. ჰოდა, ცოტა საოცრად ხომ არ გეჩვენებათ, რომ ქუთაისის ეს სუპერთანამედროვე საავადმყოფო, რომელიც გატონ მიხეილ სააკაშვილს ევროპული სტანდარტების ნიმუშად მიაჩნია, სულ რაღაც 1000 დოლარად ქართულ-ჩეხური კომპანიის ხელში აღმოჩნდა?!

მეტსაც გეტყვით, რატომღაც იმავე „ბლოკ ჯორჯიამ“ ჩაატარა სარემონტო სამუშაოები თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. და ასევე, რატომღაც „ბლოკ ჯორჯიას“, როგორც ავი ენები ამბობენ, ზუგდიდის საავადმყოფო თურმე ყოველმხრივ აღჭურვილი და გარემონტებული დახვდა... ამ ფაქტს, სხვათა შორის გვერდი ვერ აუარეს გასული წლის დეკემბერში პარლამენტში გამართულ საკომიტეტო მოსმენაზეც.

რა უნდა ვიფიქროთ? ის ხომ არა, რომ ამ „კეთილმოსურნე“ ფაქტების უკან ხელისუფლების გავლენიანი ჩინოვნიკები დგანან? ამის დასტურია ამ დღეებში გამართულ პრესკონფერენციაზე ალექსანდრე კვიტაშვილის განცხადება, რომ ახალი საავადმყოფოების მშენებლობის პროექტში „ბლოკ ჯორჯიას“ წილი დაახლოებით 40 პროცენტია, ე. ი. ფაქტობრივად მონოპოლისტია. ჰოდა ქვეყნისათვის ასეთ თავგადაკლულ კომპანიას ვინ უნდა დაუჭიროს მხარი თუ არა ხელისუფლებამ? ადრე, ვიდრე გენდუქიძე მინისტრის რგოლ სავარძელში იჯდა, ამ საპატიო მისიას არავის უთმობდა (ახლა მართალია მოედანზე ცენტრფორვარდის ფუნქცია წაართვეს, მაგრამ სათადარიგო სკამზე მაინც დატოვესძ, ამჯერად კი მის საქმეებს მისივე აღზრდილები აგრძელებენ. ეს კარგად გამოჩნდა ამ რამდენიმე დღის წინათ, როცა ჩეხეთის დედაქალაქში სახელმწიფო „ექსპორტბანკს“ ჯანდაცვის მინისტრი კვიტაშვილი და პრემიერის მრჩეველი, გენდუქიძის ფიგურად ცნობილი ვახტანგ ლეჟავა ეწვივნენ. მინისტრის განცხადებით, „ექსპორტბანკი“ აპრილის შუა რიცხვებში გამოყოფს 120 მილიონ ევროს, რომელიც „ბლოკ ჯორჯიას“ უშურველი გარჯის წყალობით, საქართველოში ახალი საავადმყოფოების მშენებლობას მოხმარდება.

საფიქრალი და საჯავრო არაფერია. რა ვუყოთ, რომ 100 ახალი საავადმყოფოს ნაცვლად მოსახლეობას დანგრეულ, განადგურებულ და გასხვისებულ საავადმყოფოებში უწევთ მომსახურების მიღება. სამაგიეროდ დღის წესრიგიდან ჯერაც არ მოხსნილა „ჰოსპიტალური სექტორის განვითარების“ და „იაფი დაზღვევის“ პროგრამები, რომელთა ავტორებმა 9 აპრილის მასობრივი საპროტესტო აქციის „გმირები“ არიან. ვნახოთ, როგორ მოახერხებენ ისინი „საავტორო უფლებების“ დაცვას.

ოთარ ხუციშვილი

◎ საქალაქო ტრანსპორტი

„თუ არ მოგწონთ ჩვენი პირობები, შეგიძლიათ, მიბრძანდეთ, შეშუშევართა ცვენაა!“

(მეხუთე გვერდიდან)

მძღოლს უნდა აუნაზღაურდეს თანხა თვიურად გამომუშავებული საშუალო კოეფიციენტის მიხედვით, თუმცა, ამას „თბილისის ავტობუსი“ არ აკეთებს.

მერე კი გამოდის, რომ ესოდენ „სატრაბახო“ აპარატების არარაციონალურობის წყალობით ზარალობენ: **ა) მგზავრები; ბ) დედაქალაქის ბიუჯეტი; გ) მძღოლები.**

ესეც თქვენი სალარო-საკონტროლო „მაჯღაბუნები“!

კუთვნილი ხელფასის ასაღებად მოდის! თუკი საკუთარ თანამოქალაქეებზე ასე ზრუნავენ, ეს დალოცვილები, იქნებ ჯერ ქუჩებში პარკინგის წესების დაცვისთვის მიეხედათ იმათ, ვისაც ჯერ არს?!

– წარმოიდგინეთ, რომ მგზავრობის საფასურის გადახდის წესს შეჩვეული კაცი მძღოლთან ბილეთის საფასურს დადებს, მის უკან მდგომი „გენერალური ინსპექციის“ ინსპექტორი ამას, ვთქვათ, მობილური ტელეფონით ფოტოს გადაუღებს, – განაგრძო შემდეგ პროფკავშირის თავკაცმა. – შედეგი რა მოჰყვება, როგორ გგონიათ? მართალი ხართ, მძღოლი კვლავ დაჯარიმებულია. ასეთია გენდირექტორის მიერ შემუშავებული მუშაობის სქემა.

მათრახისა და თაფლკვერის პრინციპით მოქმედება ქვეყნიერების დარად ძირძველია, მაგრამ, როგორც ჩანს, ამის შესახებ „თბილისის ავტობუსში“ არაფერი იციან და მათრახის სანაცვლოდ დაჯირავებულ მუშაკთა უმრავლესობას ისევ მხოლოდ „ჯარიმების მათრახს“ სთავაზობენ, რის შესახებ ქვემოთაც გვექნება ლაპარაკი.

ყვითელი ჰალსტუხები, ლურჯი ქურთუკები და... პამპერსები

მძღოლთა პროფკავშირის გამაფრთხილებელ აქციასთან დაკავშირებით გავრცელებულ პრეს-რელიზში მე-5 პუნქტში წერია: **„დაცული იქნას შრომის ღირსეული პირობები (ავტოფარეხებში არ არის სველი წერტილები, მოსასვენებელი ოთახები და სასადილოები).** ჯანდაბას, შეიძლება თქვას კაცმა, მოსასვენებელი ოთახი და სასადილო, ვთქვათ, „ნათელი მომავლის“ პერსპექტივაა, მანამდე სადმე ნახავს კაცი მუხლის დასვენების ადგილს. ხმელა პურს ძეხვის ნაჭერს დაადებს მშრომელი და იოლას გავა, მაგრამ „სველ წერტილს“ რა უნდა უყოს ცოცხალმა ადამიანმა? პამპერსებით უნდა იაროს?

როცა მძღოლი ავტოფარეხშია, იქ კიდევ შეუძლია რაღაც გამოსავალი მონახოს (აქამდე რაღაცნაირად, არ ვიცი როგორ, მაგრამ ხომ გამოდიან მდგომარეობიდან!), მაგრამ მარშრუტზე გასულმა კაცმა რა უნდა ქნას? ეს, ადამიანის ფიზიოლოგიიდან გამომდინარე, საბავშვო ბაღის აღსაზრდელისთვისაც კარგად ცნობილი ამბავია, მაგრამ, როგორც ვრწმუნდებით, დედაქალაქის თვითმმართველობის არც ერთ დონეზე ეს საქმე არ აინტერესებთ, „თბილისის ავტობუსში“ კი მით უმეტეს არ ედარდებათ.

ამიტომ მათ ასეთი გამოსავალი შეგვიძლია შევთავაზოთ: **სავალდებულო წესით უკლებლივ ყველა მძღოლს უკვე ნახსენები პამპერსები შეაძენინონ (ჯერ დაურიგონ, შემდეგ კი მათი საფასური ხელფასიდან დაუქვითონ). ოღონდ, აუცილებლად ყვითელი ფერის – თან პრაქტიკულია, თანაც ავტობუსებისა და მძღოლთა ასევე სავალდებულო ჰალსტუხების ფერი იქნება.**

თუმცა ჰალსტუხები კი ერთობ სხვა, არანაკლებ კოლორიტული თემაა. იმ ყვითელი ჰალსტუხებისნაირი ჰალსტუხები, რომლებითაც ასე ვიხიგლებოდით ახალთახალი „სექონდ“ მოხმარების ავტობუსების მძღოლებზე, დღესდღეობით თბილისის ყველა მეორადი ტანსაცმლის მაღაზიაში ლამის წონით იყიდება, ყველაზე ძვირიანებში კი 50-თეთრიდან 2 ლარამდე ღირს. ჰოდა, ეს რეზინის ზონარზე ჩამოკონწიალებული მზისფერი კოშმარი „თბილისის ავტობუსის“ ხელმძღვანელობამ მძღოლებს... 100-100 ლარად (?!) ძვეა-ძენინა, მაგრამ არც ეს აპმარა და შხამიანი ლურჯი ფერის ჯვა-ლაქის თვითმმართველობის არც ერთ დონეზე ეს საქმე არ აინტერესებთ, „თბილისის ავტობუსში“ კი მით უმეტეს არ ედარდებათ.

ამიტომ მათ ასეთი გამოსავალი შეგვიძლია შევთავაზოთ: **სავალდებულო წესით უკლებლივ ყველა მძღოლს უკვე ნახსენები პამპერსები შეაძენინონ (ჯერ დაურიგონ, შემდეგ კი მათი საფასური ხელფასიდან დაუქვითონ). ოღონდ, აუცილებლად ყვითელი ფერის – თან პრაქტიკულია, თანაც ავტობუსებისა და მძღოლთა ასევე სავალდებულო ჰალსტუხების ფერი იქნება.**

თუმცა ჰალსტუხები კი ერთობ სხვა, არანაკლებ კოლორიტული თემაა. იმ ყვითელი ჰალსტუხებისნაირი ჰალსტუხები, რომლებითაც ასე ვიხიგლებოდით ახალთახალი „სექონდ“ მოხმარების ავტობუსების მძღოლებზე, დღესდღეობით თბილისის ყველა მეორადი ტანსაცმლის მაღაზიაში ლამის წონით იყიდება, ყველაზე ძვირიანებში კი 50-თეთრიდან 2 ლარამდე ღირს. ჰოდა, ეს რეზინის ზონარზე ჩამოკონწიალებული მზისფერი კოშმარი „თბილისის ავტობუსის“ ხელმძღვანელობამ მძღოლებს... 100-100 ლარად (?!ძ შეაძენინა, მაგრამ არც ეს აპმარა და შხამიანი ლურჯი ფერის ჯვა-

ქალბატონო, ავტობუსს რომ რეცხავთ, კაიფში ხომ არა ხართ?

არავის ეგონოს, რომ „თბილისის ავტობუსის“ ხელმძღვანელობა მგზავრთა უსაფრთხოგადაადგილებაზე არ ზრუნავდეს, რაც, თუნდაც, მძღოლთა სავალდებულო ნარკოლოგიურ შემოწმებაში გამოიხატება, ოღონდ ამასაც მარტო მისთვის ცნობილი ლოგიკით აკეთებს. საქმე ის არის, რომ ეს **შემოწმება მძღოლებმა აუცილებლად ნარკოლოგიურ ცენტრში უნდა გაიარონ, სადაც ტესტირების პროცედურის საფასურია 18 ლარი, რომელსაც, როგორც, ალბათ, უკვე მიხვდით, თავად დასაქმებულები იხდიან(?). არადა, ასეთივე სტანდარტული პროცედურა ბაგების ნარკოლოგიურ ცენტრში... 5 ლარი და 80 თეთრი ღირს, თუმცა იქაური ცნობა „თბილისის ავტობუსში“ არ ჭრის“.**

– მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე ამას ჩვენ ძალიან დიდი ეჭვის თვალით ვუყურებთ და საკითხში ძირფესვიანად გარკვევას მოვითხოვთ, მაინც მინდა საზოგადოებას გავაგებინო, თუ რა დონემდეა მისული „თბილისის ავტობუსის“ „გენერალიტეტის“ აბსურდი, – სარკასტულად ამბობს გატონი ალანია. – ერთ-ერთ ავტოფარეხში ნარკოლოგიურ შემოწმებას ავალდებულებენ... მრეცხავსაც, 60 წლის ქალბატონს. თუ გსმენიათ მსგავსი რამ?! ნარკოლოგიური შემოწმების გარდა იგივე მიდგომაა ეგრეთწოდებულ „ფსიქოს“ ცნობასთანაც – გინდა თუ არა მაინცდამაინც ამ დაწესებულებაში უნდა შემოწმდე, ავალდებულებენ მძღოლებს.

კიდევ გვერი რამ მიამბო გატონმა ლავრენტი ალანიამ „თბილისის ავტობუსის“ მძღოლთა გასაჭირზე, მაგრამ, ვფიქრობ, ის მაგალითები, რაც ზემოთ მოვიყვანე, საკმაოდ ნათლად ხატავს დასაქმებულთა მუშაობის თუ სოციალურ, ლამის ნახევრად ფეოდალურ ყოფას. ამიტომ კიდევ ერთხელ მოკლედ ვიტყვი იმ მოთხოვნათა შესახებ, რასაც პროფკავშირის წევრები აყენებენ: ესენია **თბილისის მერიის ხელმძღვანელებთან მათი წარმომადგენლების შეხვედრა, კაბალური კონტრაქტების პირობების გადახედვა, გენერალური ინსპექციის მხრიდან დევნის შეწყვეტა, შრომის ნორმალური პირობების შექმნა და სხვ.**

– წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთ მშვენიერ დილას თბილისი სარეისო ავტობუსებით მომსახურების გარეშე დარჩება, ამის პირობას გაძლევთ, – მითხრა გოლოს პროფკავშირის თავმჯდომარემ. – გვინდა, რომ კარგად მოგვისმინონ და, რაც მთავარია, გაიზიარონ კიდეც ჩვენი მოთხოვნები. გაფრთხილება კი უკვე მერიასაც გავუგზავნეთ და „თბილისის ავტობუსსაც“. ახლა საქართველოში ახალი, დასავლური ტიპის პროფკავშირები თანდათან ფეხზე დგებიან და ჩვენ გვაქვს ამბიცია, რომ არა მარტო ჩვენი წევრებისთვის, არამედ ყველა დასაქმებულისთვის შრომის ღირსეული პირობების შექმნა.

ოთარ ტურაბელიძე

P. S. მიუხედავად იმისა, რომ სათქმელი კიდევ ბევრი დარჩა, მაინც გვინდა ხაზი გავუსვათ ერთ, ჩვენი აზრით, მეტად ნიშანდობლივ მომენტს, რომელიც „თბილისის ავტობუსის“ ხელმძღვანელობის დასაქმებულებთან ურთიერთობის სტილის დაუშვებლობის თაობაზე კომენტარს არ საჭიროებს. იციან რა მძღოლთა განწყობა, ფირმაში ეუბნებიან: თუკი ურჩობას გამოიჩენთ, შეგიძლიათ მიბრძანდეთ, რეზერვისტები (ადრე, თუ არ ვცდები, ასეთებს შტრეკბრეიხერებს უწოდებდნენ) საკმარისი გვყავს. სამუშაოს მძებნელთა რიგს კი ბოლო არ უჩანსო.

ო. ტ.

◎ თვალში – ნაცარი?

ისევ გვაგოლებ ხომ, კეი გატონო!

გამდის და რატომაც არ ვქნაო, ამბობ? მაგასაც ვნახავთ ერთ დროს...

ჯერ იყო და, 2006 წლის შემოდგომით, ქვეყნის პრეზიდენტ სააკაშვილთან ერთად, არცთუ ხალხმრავალ მიტინგზე, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს წინ დაგვაბოლე – მომავალ წელს 3 ათასი, ხოლო 2008 წლისთვის 8 ათასი კაცი იმუშავებსო. თუმცა ასეთ ზრდას ვინ ჩივის, შარშან იმ ათას ხუთასი კაციდან, ქარხანაში რომ მუშაობდა, რამდენიმე ასეული დატოვე, მათაც ხელფასები გაუნახევრე.

სამაგიეროდ შარშან იმ დარჩენილ მეტალურგებს ისედაც გამშრალი სისხლი გაალებინე, რომ მაშინ ჯერ კიდევ შენი და ხელისუფლების ტელევიზიების ეკრანზე გამოჩენილიყავი და გაგეპიარებინა, აი, ჩვენ, მეტალურგები, რა ეროვნულ საქმეს ვაკეთებთო. ეს იმისთვის, რომ გადაგეფარა აგრეგატ 900-ის უნიკალური დანადგარების დაჩქარებული ჭრა და ჯართად გაყიდვა.

მერე ქათმის საბუდარისხელა საფუნდამენტო ორმო ამოათხრევინე, აქაოდა, ფოლადსადნობ ელექტროღუმელებს ვდგამთო.

კი შემოაქვთ ეს ელექტროღუმელი, ისიც ჩინეთიდან, ვინ იცის, ხმარებიდან როდის ამოღებული, სად გადაგდებული, ყიდულობ არა საკუთარი ინვესტიციით, არამედ ჯართად გაყიდული საამქროს შემოსავლებიდან, ისიც, სამწყალოდ გაღებული უზალთუნებით. არმატურა, ბატონო ჯოზეფ კი, და ის საამქრო, რომელითაც თავი ასე მოგაქცს, არ არის მეტალურგია. ქარხანა, – ეს არის მილსაგლინავი, „140“ და „400“ აგრეგატები და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ღირსება, სანავთობე, საჭაბურღილე და სხვა პროფილის მილები.

ეს ახლა ალბათ შენც იცი, მაგრამ...

ამ რამდენიმე დღის წინათ, ერთმა კეთილმა კაცმა, მეტალურგიისა და რუსთავის ქომაგმა გაზეთი „ალია“ ამიფრიალა, სადაც თეთრზე შავით წერია, რომ თურმე ქარხნის ინვესტორებს საზრუნავი ახალგაზრდობა ყოფილა, სამუშაოდ, კვალიფიკაციის შესაძენად 16 ახალგაზრდა მიუღიაო.

ამ დროს უღმერთოდ, მიზანმიმართულად იჭრება ამიერკავკასიაში ერთადერთი მილსაადიდო საამქრო, რომლის ამმუშავებელთა შორის თავის დროზე მეც ვიყავი და მეც წვლილი მიმიძღვის ამ საქმეში.

იმავდროულად ქარხანა ყოველდღე, შეიძლება ითქვას, ყოველ საათს ჭკარგავს უმაღლესი პროფესიის ათობით მილმგლინავს თუ სხვა სპეციალობის ადამიანს.

აგერ თითქმის 20 წელია ქარხანაში სამუშაოდ არ მიუღიათ ახალგაზრდა მუშა, ინჟინერი, ტექნიკოსი, არ ხდება სისტემატური, მეთოდური მომზადება კადრის მუშაკებისა, ელექტრიკოსი იქნება ეს თუ მეამწე, მგლინავი თუ სხვა დარგის გამძლოლი.

ჩემი ახალგაზრდა კოლეგა დიმიტრი ტიკარიძე, რომელიც დარწმუნებული ვარ, საბანგებოდ მოიწვიეს, რომ გვერი საქმე გადაეფარათ, იქნებ, კიდევ ერთხელ ესტუმროს მეტალურგიულ ქარხანას და კეის კი არა, არც ციგულაშვილს, რომელიც კეის მიერ არის დაჭირავებული და ასრულებს მის დავალებას, არამედ იმ ადამიანებს გაესაუბროს, ჩაეკითხოს, რა ხდება მეტალურგიაში, რომლებსაც გული შესტკივათ და სიმართლის თქმისა არ ეშინიათ.

ისე, ბატონო ჯოზეფ, დიდი ცოდვა გაწევს დიდი მამულიშვილის, ბადრი პატარკაციშვილისა და მისი ოჯახის წინაშე, რომლის ფულითაც შეიძინე, როგორც ამას ხალხი ამბობს, ეს ქარხანა.

კიდევ სხვა ბევრ ცოდვას მოგაწერენ და ნუ დაანგრევ ქართველ მეტალურგიას, ნუ გასწირავ რუსთავ ქალაქს, რომელიც ამ ქარხნის გამო აღორძინდა, აშენდა, თორემ ამდენი ცოდვა ნამდვილად გაგსრესს.

გივი ჯახუა

ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ:

ᲕᲘᲡᲐᲪ ᲜᲔᲠᲕᲔᲑᲘ ᲣᲛᲢᲧᲣᲜᲔᲑᲡ, ᲘᲡ ᲬᲐᲐᲒᲔᲑᲡ

(ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

თუმცა, იმედია ხელისუფლება პროვოკაციის მოწყობას ვერ შესძლებს, რადგან ამის საშუალებას ქართული ჯარი არ მისცემს.

— როგორ იცხოვრებს ქვეყანა ახალი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნამდე, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ მიხიელ სააკაშვილი გადადგება?

— ჩვენ სახელმწიფო გადატრიალებას არ ვახდენთ, იარაღით არ მოვდივართ. ჩვენ უბრალოდ გვსურს უზურპატორების განდის მოშორება, იმ ხალხის განდევნა, რომელებმაც ყველაფერი გარყვნეს და გადაასხვაფერეს.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ სახელმწიფო ინსტიტუტები — პარლამენტი, მთავრობა მოვალეობის შესრულებას გააგრძელებენ, ჩვეულ რეჟიმში იმუშავებს პოლიციაც. თითოეული სფეროს რეფორმირება მოგვიანებით, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დაიწყება.

აქვე უნდა ვთქვა, რომ მარტო სააკაშვილი კი არ წავა, მას მიჰყვებიან ახალაიები, კოდუები და ის განდები, რომლებიც მის ირგვლივ არიან.

— „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მიხიელ სააკაშვილს საზოგადოება, ისე უყურებდა, როგორც გმირს, რაც მისი პირველი ვადით არჩევის დროსაც გამოჩნდა — სააკაშვილს ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 80 %-მა მისცა ხმა. თქვენი აზრით, რატომ შეიცვალა საზოგადოებამ მასზე შეხედულება საკმაოდ მოკლე ხანში?

— იმიტომ, რომ უამრავი შეცდომა დაუშვა. მიხეილ სააკაშვილი გმირი არასდროს ყოფილა, თუმცა რამდენჯერმე ჰქონდა ამის შანსი, რომელიც დაკარგა. გასული წლის 2 თუ 3 ნოემბერს, როცა ჩვენ პარლამენტის იმდროინდელ თავმჯდომარესთან ნინო ბურჯანაძესთან მოლაპარაკებაზე შევედით, დავსვით საკითხი, რომ გამოსულიყო სააკაშვილი და საპარლამენტო არჩევნების გაზაფხულზე დანიშვნის თაობაზე გაეცხადებინა. რა იყო პრობლემა? ასე რომ მოქცეულიყო, ის გმირი გახდებოდა და ჩვენც სრულიად განეიტრალებულნი გამოვიდოდით.

კიდვ ერთი შანსი სააკაშვილს 2008 წლის 5 იანვარს ჰქონდა. ის რომ გამოსულიყო და არჩევნების მეორე ტური გამოეცხადებინა, შანსიც ექნებოდა მეორე ტურში გაყალბების გარეშე გაემარჯვებინა.

მესამე შანსი ომის შემდეგ ჰქონდა, როცა ყველანი გამოვედით და ვთქვით, რომ შექმნილიყო ეროვნული თანხმობის კომიტეტი, რომელიც მტრის წინააღმდეგ ერთიანობის სახე იქნებოდა, თუმცა ხელისუფლება ამაზე არ წამოვიდა, რითაც სააკაშვილმა უარი თქვა, გამხდარიყო საქართველოს და არა ერთი პარტიის პრეზიდენტი.

აღნიშნული იმას ადასტურებს, რომ მიხეილ სააკაშვილს პოლიტიკური საშიშროების შეგრძნებისა და სიტუაციის აღქმის არანაირი უნარი არ აქვს.

— იმ დიალოგზე რას იტყვით, რომელსაც მმართველი გუნდი ოპოზიციას კიდევ ერთხელ სთავაზობს?

— მე ვერ ვხედავ ხელისუფლებასთან დიალოგში ვერანაირ შედეგს. მმართველ გუნდს მოლაპარაკებათა მაგიდასთან დასხდომა ჩვენთვის იქამდე უნდა შემოეთავაზებინა, ვიდრე აქციები დაიგეგმებოდა. ახლა კი ერთადერთი საკითხი, რაზეც დიალოგი შეიძლება გავმართოთ, არის ის, თუ როგორ უნდა გადასცეს სააკაშვილმა ქალაუფლება დათო ბაქრაძეს.

— გასული წლის ნოემბრის აქციების სლოგანი იყო “მიშა მოვდივართ“, რა იქნება აპრილის აქციების ლოზუნგი?

— სხვათა შორის, 9 აპრილი იმითაც განსხვავდება 7 ნოემბრისგან, რომ ახლა აღარ ვხელმძღვანელობთ სლოგანების ფორმატით. წარსულში დარჩა „მოვდივართ“ და ა.შ. ჩვენ უკვე მოვედით, იქ ვართ, სადაც უნდა ვიყოთ და ხელისუფლების წასვლას ველოდებით. სხვათა შორის, ახლა ჩვენში არსებული განწყობა 1989 წლის 9 აპრილისას უფრო ჰგავს, ვიდრე 7 ნოემბრისას, თუნდაც იმით, რომ 1989 წლის 9 აპრილის მსგავსად ბოლომდე საბრძოლველად ვართ განწყობილნი.

ესაუბრა

ᲒᲝᲩᲐ ᲛᲘᲠᲪᲮᲣᲚᲐᲕᲐ

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲢᲠᲐᲜᲖᲘᲢᲣᲚ ᲠᲝᲚᲡ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ

სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გაიხსნა მე-8 საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით — „ნავთობი, გაზი, ენერგეტიკა და ინფრასტრუქტურა“.

კონფერენციის გახსნას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური დაესწრო, რომელმაც საქართველოს ენერგეტიკის სფეროში არსებულ ვითარებაზე ისაუბრა; ყურადღება გაამახვილა საქართველოს მნიშვნელოვან როლზე ცენტრალური ევროპის გაზმომარაგების საკითხებში.

როგორც გილაურმა განაცხადა, რვა წლის წინათ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის მილსადენების პირობებში აღნიშნული კონფერენცია ძალიან მნიშვნელოვანი იყო. შემდეგ, გარკვეულწილად, მან თავისი მნიშვნელობა დაკარგა, თუმცა დღეს კვლავ მნიშვნელოვანია, რადგან საუბარია ახალ პროექტებზე, ისეთებზე, როგორიც არის თეთრი ნაკადის გაზსადენის პროექტი, ასევე „ნაბუკოს“ პროექტი.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საქართველომ შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს, როგორც ნეიტრალურმა ქვეყანამ, რომელსაც შეუძლია ტრანზიტული როლი შეასრულოს.

— გარდა ამისა, მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია საქართველოს როგორც ქვეყანას, რომელსაც მომავალში, შესაძლოა, სხვადასხვა ქვეყნებს შორის მომლაპარაკებლის ფუნქცია ჰქონდეს, — აღნიშნა გილაურმა.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲨᲘᲡ

ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘ

ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ „ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲓᲔᲡ“!

შარშან, 2008 წლის 15 აგვისტოს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ წერილი გამოვაქვეყნე სათაურით „ფასების ზრდა მსოფლიო პრობლემაა“, სადაც მოკლედ იყო განხილული სასურსათო პროდუქციის ფასების ზრდის მიზეზები მსოფლიოში და ამ სფეროში არსებული ვითარება რუსეთსა და საქართველოში. წერილის დასასრულს ვწერდი:

„P. S.“. რა დასამალია, და სტატისტიკის სამსახური, როგორც სახელმწიფო (სამთავრობო) დაწესებულება, ადრეც ხელისუფლების ინტერესებს იყო მორგებული. მის მიერ მომზადებული ნებისმიერი მონაცემი მთავრობას წყალს არ უნდა უმღვრევდეს. დღეს იგი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დეპარტამენტის სტატუსით არსებობს და უამრავი „მაკონტროლებელი“ და „შემსწორებელი“ ჰყავს.

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ, როგორც ყველა ვამჩნევთ, საქართველოში სურსათის ფასები სინამდვილეში გაცილებით „აგრესიულ“ ხასიათს ავლენენ, ვინემ ეს სტატისტიკის ბიულეტენებშია დაფიქსირებული, რომლითაც ჩვენ, ე.ი. საზოგადოება ვსარგებლობთ. მისი მონაცემები, სულ ცოტა, სანახევროდ მაინც (ვიმეორებ, სულ ცოტა) შემცირებულ-შელამაზებულია. ასეთია „სახელმწიფო“ სტატისტიკის „დამამშვიდებელი“ დანიშნულება.

ასე რომ არ იყოს და სტატისტიკის სამსახური ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების რეალურ სურათს ასახავდეს და მას საზოგადოებას „შეულამაზებლად“ აწვდიდეს, ᲘᲒᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲐᲠᲪ ᲡᲐᲞᲐᲜᲔᲛᲓᲔᲒᲚᲝ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲐᲚᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ. ᲘᲒᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘᲗ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲐᲓ (ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲐᲓᲐᲪ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲐᲓ!) ᲣᲜᲓᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲔᲡ. ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ, ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲡᲐᲮᲕᲔᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ!“

საქართველოს პარლამენტმა მიმდინარე წლის 27 მარტს 82 ხმით 5-ის წინააღმდეგ პირველი მოსმენით მიიღო **კანონი სტატისტიკის შესახებ, რომლითაც საქართველოს სტატისტიკის სამსახური გარდაქმნილია როგორც საჯარო სამართლის დამოუკიდებელი იურიდიული პირი,** აქედან გამომდინარე მთელი რიგი გარდაქმნებით (ინფორმაციას გავეცანი 27 აგვისტოს, საქართველოს პარლამენტისა და „სივილ ჯორჯიას“ საინტერნეტო არხებზე. თვით კანონპროექტი გამოქვეყნებული არ არისძ.

ასეთი ნაბიჯი რომ გადასადგმელი და საქართველოს სტატისტიკის ორგანოსთვის იურიდიული და ეკონომიკური დამოუკიდებლობა მისანიჭებელი იყო, — დამოუკიდებელი საქართველოს შექმნის პირველივე დღეებიდან თვალნათლივ ჩანდა.

თავისი არსებობის მანძილზე (1918 წლიდანძ დღემდე, **სტატისტიკა ყოველთვის სამთავრობო ინტერესებს იყო „მორგებული“**: საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის დაქვემდებარებაში, შემდეგ კი უშუალოდ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში მყოფ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტს **— სახელმწიფო ცენზურის** მეშვეობით აკონტროლებდნენ, სსრ კავშირის დაშლის შემდეგ კი, — ჯერ საქართველოს უზენაესმა საბჭომ და შემდეგ პარლამენტმა დაიქვემდებარეს (მთავრობას არ ენდნენძ, მომდევნო წლებიდან კი ეკონომიკის სამინისტროს შემადგენლობაში „გადაამისამართეს“. **ასე რომ, სტატისტიკის ორგანო თავისი არსებობის მანძილზე რეალურად დამოუკიდებელი არასოდეს არ ყოფილა, რადგან მას საქმიანობა ყოველთვის უტილიტარულ (სსრკ) და არადემოკრატიულ (ამჟამად) გარემოში უხდებოდა. ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲐᲚᲡ, ᲐᲠᲪ ᲫᲕᲔᲚᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲐᲮᲐᲚᲡ, ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲡ ᲐᲠ ᲐᲫᲚᲔᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲡᲣᲠᲓᲐ! ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ, — ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓᲐᲪ! — ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐᲛ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲜᲓᲝᲑᲐ!**

არადა, როგორც ინფორმაცია გვარწმუნებს, ახალი „კანონპროექტის მიხედვით, სახელმწიფო სტატისტიკა შემდეგ ძირითად პრინციპებს დაეფუძნება: დამოუკიდებლობა, სანდოობა(?ძ და გამჭვირვალობა, სათანადოობა(??ძ და აქტუალურობა, ეფექტიანობა, კონფიდენციალობა“ (დაწერილია ჩვენი ახალგაზრდების „ქართულით“ძ.

ყველა ეს „პრინციპი“ დღემდე მოქმედ სტატისტიკის კანონშიც „ეწერა“, მაგრამ არც ერთი მათგანი არ სრულდებოდა. მაშასადამე, „პრინციპების“ აღმასრულებელი მექანიზმის უქონლად კანონში მათ „ჩაწერას“ გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს.

> „მე ჩანგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს“
>
> აკაკი

იმედი ვიქონიოთ, რომ ამ მხრივ იქნება მომავალში გვეშველოს!

ახლა ორიოდე სიტყვა პირველი მოსმენით მიღებულ სახელმწიფო სტატისტიკის კანონპროექტის შესახებ (როგორც ზემოთ ვთქვი, მე მხოლოდ ამ კანონპროექტის საინტერნეტო ანოტაციას ვარ გაცნობილი და ამიტომ ჩემს მსჯელობაში გარკვეულად შეზღუდული ვიქნებიძ.

1. რადგან „საქსტატის“ **8-წევრიან სამეთვალყურეო საბჭოში** ვწევრი ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრები და ეროვნული ბანკის პრეზიდენტი (ან მათი მოადგილეებიძ იქნებიან, ასეთ პირობებში:

ა) ამ ორგანოთა წარმომადგენლებმა სავსებით შესაძლებელია „საბჭოში“ კვლავ ყოფილი ცენზორის როლი ითამაშონ და ხელისუფლებისათვის არასასურველი გამოსაძვეყნებელი (გასახმაურებელიძ სტატისტიკური პროდუქცია დაბლოკონ ან „შეალამაზონ“. ვფიქრობ, საქმეს ვერ შველის საბჭოს დანარჩენი ხუთი წევრი, რომლებიც, ქვეყნის პრეზიდენტის ხელდასხმულნი, სავარაუდოდ, შერჩეული პირები იქნებიან (მნიშვნელობა არ აქვს, თუ ვინ იქნება პრეზიდენტიძ. ამიტომ, დასახელებული **სამთავრობო ორგანოების სამი წარმომადგენელი სამეთვალყურეო საბჭოში სასურველია მრჩეველი-ექსპერტის სტატუსით მონაწილეობდნენ** (კენჭისყრის უფლების გარეშეძ.

ᲘᲮ. 8 ᲒᲒ.

ვითარება

საზოგადოებრივი მაუწყებელი ბიუჯეტის თანხებს არამიზნობრივად ფლანგავს?

შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმომ „სიგმა პლუსმა“ საზოგადოებრივ მაუწყებლობას – „პირველ არხს“ სასამართლოში უჩივლა. მოსარჩელე მოითხოვს 2008 წლის სექტემბერში I არხის მიერ ჩატარებული ტენდერის შედეგების გაუქმებას და სასამართლოს ძალით მატერიალური ზარალის ანაზღაურებას.

საქმის არსი

გასული წლის სექტემბერში ჩატარებული ტენდერის დროს შპს „სიგმა პლუსს“ კომისიამ უარი უთხრა სატელევიზიო პროექტების „დიდი პერსპექტივისა“ და „ეტალონის“ დამტკიცებაზე. მიზეზად დასახელდა ის გარემოება, რომ შპს-ს მოთხოვნილი თანხა საკმაოდ მაღალი იყო და საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტი ამდენს ვერ გასწვდებოდა.

არადა, როგორც „სიგმა პლუსის“ ადვოკატები მანანა კობახიძე და მერი ჯაფარიძე აცხადებენ, კანონის სრული იგნორირებით დადებული ექსკლუზიური შეთანხმებები სახელმწიფო ბიუჯეტს ბევრად მეტი უჯდება, ვიდრე შპს-ს მიერ მოთხოვნილია.

მოსარჩელეთა ადვოკატების განმარტებით, როდესაც ისინი ჩაუღრმავდნენ ტენდერის შედეგებს, უამრავი უხეში კანონდარღვევა აღმოაჩინეს. პირველად და უმთავრესად ადვოკატები იმ გარემოებას მიიჩნევენ, რომ სატენდერო კომისიას ხელმძღვანელობდა „პირველი არხის“ დირექტორი ლევან ყუბანეიშვილი. და ეს მაშინ, როდესაც ტენდერში მონაწილეობდა კომპანია „თი-ბი-სი თი-ვი“, რომელსაც 2008 წლის აპრილამდე, ანუ საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორად დანიშვნამდე, სწორედ ლევან ყუბანეიშვილი ხელმძღვანელობდა.

ჯაფარიძე და კობახიძე განმარტავენ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შესახებ“ კანონის თანახმად, შესყიდვებში მონაწილეობა დაუშვებელია იმ პირთათვის, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში მუშაობდნენ შესყიდვების მონაწილე რომელიმე ორგანიზაციაში. იმის გამო, რომ ყუბანეიშვილი მონაწილე კომპანიის „თი-ბი-სი თი-ვი“-ს დირექტორი იყო ტენდერამდე რაღაც 9 თვით ადრე, სასამართლოს თავისუფლად შეუძლია და ვალდებულიცაა, კონკურსის შედეგები ბათილად სცნოს. მით უმეტეს, რომ ტენდერში გამარჯვებული სწორედ „თი-ბი-სი თი-ვი“ გახდა. სარჩელის შემტანი ორგანიზაციის ინტერესების დამცველები იქვე იმასაც დასძენენ, რომ გამოთხოვილი დოკუმენტაციის მიხედვით უამრავი კანონდარღვევაა აღმოჩენილი, მრავალი კონტრაქტია გაფორმებული ინდივიდუალურად, ყოველგვარი კონკურსის გარეშე მაშინ, როდესაც კანონი ტენდერის აუცილებლობას ითვალისწინებდა. კერძო პირებთან გაფორმებულია არნახულად მაღალი ფასების ხელშეკრულებები, რისი საჭიროებაც ნამდვილად არ იყო.

რეზიუმეს ნაცვლად

ადვოკატები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მათ მიერ შეტანილი საჩივარი სრულებითაც არ ისახავს მიზნად მასმედიასა და ჟურნალისტებთან დაპირისპირებას. ისინი უბრალოდ ებრძვიან ლევან ყუბანეიშვილის კანონსაწინააღმდეგო ქმედებებსა და თვითნებობას, რისთვისაც მოითხოვენ ტენდერის გაუქმებას.

სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ველარ გავა „თი-ბი-სი თი-ვი“-ს პროექტები: სალამოს იუმორისტული გადაცემა „დაიჯესტი“, „ავტორევიუ“, რადიო „უცნობის“ გადაცემა „ნაცნობი მელოდიები“ და ა. შ.

ზაზა ბილიხოძე

რა ხდება?

რატომ აგროვებენ პოლიციელები მოქალაქეთა მონაცემებს?

ხელისუფლება რომ სერიოზულად არის შეშფოთებული მოსალოდნელი აქციებითა და მათგან გამომდინარე არაპროგნოზირებადი მოვლენებით, მის ბევრ ქმედებაში ჩანს. ყველაზე მთავარი, რასაც ანალიტიკოსები აღნიშნავენ, ის არის, რომ ცენტრმა რეგიონებზე მმართველობა დაკარგა, ან უბრალოდ ვერ იცლის მათთვის. ამის გამო რეგიონის ყველა „ნამესტნიკი“ თავისი შეხედულებებით მართავს სააკაშვილის მიერ „მიზომილ“ ტერიტორიას. და რაც მთავარია, ყველა გუბერნატორი მოსალოდნელი აქციებისათვის ემზადება და წინასწარ ცდილობს, შეიმუშაოს და უკმაყოფილოთა გამოსვლებს დაუპირისპიროს კონკრეტული კონტრღონისძიებები.

განკარგულების გამცემი უცნობია

კონტრზომებისთვის ემზადება კახეთის სამხარეო ადმინისტრაციაც. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრი იუწყება, კახეთის სამხარეო პოლიციამ და მისმა რაიონულმა რგოლებმა დაიწყეს ყველა რაიონის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ჩამოვლა და თანამშრომელთა მონაცემების შეგროვება, რომლებიც წინასწარ სპეციალურად შედგენილ ფორმაში შეაქვთ.

როგორც ჩანს, სამხარეო ადმინისტრაცია შეაწუხა საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულთა სიმწირემ და პოლიციას დაავალა, ანალოგიური მონაცემები კერძო ორგანიზაციებში მომუშავეთაგანაც შეეგროვებინა. სამართალდამცავები გაუფრთხილებლად შედიან კერძო სტრუქტურებში, ითხოვენ ადგილობრივი თანამშრომლებისაგან პირადობის მოწმობებს და შეაქვთ ისინი სპეციალურად მომზადებულ ბლანკში.

მოქალაქეების კითხვებზე, თუ რა საჭიროებისათვის კეთდება ყოველივე, პოლიციელები პასუხს არ სცემენ. დუმილის უფლებას ინარჩუნებენ სამხარეო პოლიციაშიც. რაც შეეხება კითხვას, თუ ვისი მითითებით გროვდება ანკეტური მონაცემები, ორგანოს თანამშრომლები, რასაკვირველია, უპასუხოდ ტოვებენ.

ვერსიები

უაღრესად დაძაბულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში და უმწვავესი შიდა პოლიტიკური ვითარების ფონზე მოსახლეობა დაზაფრულია. ყველა ახალი აქციისა თუ ღონისძიების მიმართ უმალვე ჩნდება ეჭვები, ჭორები. მოარული ხმები კიდევ უფრო ძლიერდება, როდესაც რაიმე სიახლე კონსპირაციულობის პირობებში ხორციელდება. მით უმეტეს, თუ ამის ინიციატორები სამართალდამცავები არიან.

როგორც საინფორმაციო ცენტრში თვლიან, ყველაზე მისაღები და არგუმენტირებული ვერსიაა ის, რომ სამხარეო ადმინისტრაცია სერიოზულად არის შეშფოთებული მოსალოდნელი გამოსვლებით. გუბერნატორები ხელმოწერებს იმ მიზნით აგროვებენ, რომ საპროტესტო აქციების დაწყებამდე ორიოდე დღით ადრე დაიბარონ (ან შეატყობინონ) საბიუჯეტო და კომერციულ სტრუქტურებში მომუშავენი და მათ სამსახურის დაკარგვის, შანტაჟის, მაკონტროლებელთა მიგზავნის შიშით საპროტესტო გამოსვლების საწინააღმდეგო, ხელისუფლებისა და მთავრობის მხარდასაჭერად გამართულ აქციაზე მისვლა კატეგორიულად მოსთხოვონ.

ზაზა ბილიხოძე

თვალსაზრისი

სტატისტიკა სიმართლეს უნდა „მსახურებდეს“!

(მეშვიდე გვერდიდან)

ამასთან, საბჭოში მონაწილეობისთვის საჭირო არ არის არც მინისტრების და ბანკის პრეზიდენტის და არც მათი მოადგილეების „შეწუხება“. **მათ სტატისტიკისთვის არასოდეს არ ეცლებათ!** ამ საქმისთვის სავსებით საკმარისია ამ ორგანოთა საფინანსო და სოციალურ-ეკონომიკური სამსახურების ხელმძღვანელები (პროფესიონალები);

ბ) სავსებით ნათელი არ არის სამეთვალყურეო საბჭოს **მმართველი რგოლის** სტატუსი. საბჭოს უფლებამოსილებაში ალბათ შევა „საქსტატის“ **სამუშაო პროგრამის** და საერთო- სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე **სტატისტიკური პუბლიკაციების** (ინფორმაციების) განხილვა-დამტკიცება. მით უფრო, თუ საქმე ეხება ისეთ რთულ და მნიშვნელოვან ღონისძიებებს, როგორიც გახლავთ მოსახლეობის აღწერა, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სახის სახელმწიფოებრივი სტატისტიკური პროგრამები. ეს უაღრესად რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობაა. მაგრამ ასეთი „საბჭო“ ვერ იქნება „საქსტატის“, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის **მართვის აღმასრულებელი ორგანო.** ერთი სიტყვით, „საქსტატის“ ხელმძღვანელი (აქ – დირექტორი) და მისი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ცხადია, სხვადასხვა პირი უნდა იყოს. საერთოდ კი იგრძნობა, რომ მოცემულ შემთხვევაში ანალოგი აღებულია საზოგადოებრივი ტელევიზიის სფეროდან, რომლისგანაც სტატისტიკა მთლიანად განსხვავდება.

2. დღევანდელ ვითარებაში **საყველპუროდ** გახმაურებული ტერმინის – **„დამოუკიდებელი ექსპერტის“** სტატუსი სინამდვილეში არ შეიძლება ვინმეს გააჩნდეს სპეციალური (ამ შემთხვევაში – სტატისტიკურ-ზოგადეკონომიკური) პროგრამით **სერტიფიცირებული აუდიტორის** გარდა, რომელიც შეიძლება შეყვანილი იქნას „საქსტატის“ სამეთვალყურეო საბჭოში.

3. არც ისაა მაინცდამაინც მოსაწონი, რომ პარლამენტში დასამტკიცებლად საბჭოს ორ-ორი კანდიდატი-წევრი უნდა წარსდგეს, საიდანაც ერთი აირჩევა, მეორე კი „გაშავდება.“ ამ დონეზე ასეთი პროცედურის ჩატარება ალბათ საჭირო არ არის.

4. „საქსტატის“ შესანახი ფინანსური წყაროების ჩამონათვალიც სადავოა. პირველ რიგში გასათვალისწინებელია, რომ „საქსტატი“ გვინდა-არგვინდა, მაინც არსებითად სამეურნეოანგარიშიანი სახელმწიფო დაწესებულებაა, რომელსაც ის შენობა-ნაგებობანიც, სადაც თვითონ და მისი 11 ტერიტორიული სამსახურებია დღეს განთავსებული, უსასყიდლოდ გადაეცემათ. ამიტომ, სადაც „ა“-ს ვამბობთ, იქ „ბ“-ც უნდა ვთქვათ, ანუ „საქსტატი“ **ძირითადად** სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსდეს. რაც შეეხება მის მიერ გაწეული სტატისტიკური მომსახურებით მიღებულ კომერციულ(?) შემოსავალს, ეს წყარო საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად დაბეგვრის შემდეგ მასვე უნდა მოხმარდეს. რა თქმა უნდა, გრძელვადიანი სახელმწიფო სტატისტიკური დაკვეთები (მოსახლეობის, სასოფლო-სამეურნეო, ძირითად საშუალებათა და სხვა ერთდროული ხასიათის აღწერები) შესაბამისი ეტაპების მიხედვით ისე უნდა ანაზღაურდეს, რომ ამ სამუშაოთა შესრულებას ხელი არ შეეშალოს.

დონორი ორგანიზაციების შემოწირულობები კი, რაც არსებითად ეპიზოდური ხასიათისა იქნება, როგორც წესი, კანონმდებლობის შესაბამისად იქნება გამოყენებული.

5. და დასასრულ, როგორც ჩანს, კანონის პროექტით შენარჩუნებულია „საქსტატისათვის“ **სააღრიცხვო-სტატისტიკური მონაცემების მიწოდების არასავალდებულობა(?!), ანუ მოდელი, როდესაც ინფორმაციის მიწოდება მხოლოდ მიმწოდებლის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.** საინტერნეტო საიტ „სივილ ჯორჯიას“ ინფორმაციის თანახმად, კანონპროექტის წარდგენისას ეს განაცხადა საგარეო ურთიერთობათა საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფის უფროსმა, ქალბატონმა **თამარ კოვზირიძემ**.

ჩვენ კი სავსებით სერიოზულად მიგვაჩნია, რომ **წესი, რომლის თანახმად სააღრიცხვო- სტატისტიკური მონაცემების სტატისტიკის ორგანოსათვის მიწოდება თითქოს შესაბამისი საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელის (მფლობელის) კეთილ ნებაზე იყოს დამოკიდებული, – არ არის დაფიქსირებული სტატისტიკის 17. 07. 06 წლის კანონის მოქმედ რედაქციაში. მაგრამ, დავუშვათ და, თუ ეს მართლაც ასეა, იგი ქვეყანაში შექმნის ეკონომიკური განუკითხაობის ატმოსფეროს, შეუძლებელს გახდის მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა, აგრეთვე, გრძელ და საშუალოვადიანი პარამეტრების განსაზღვრას და, საბოლოო ანგარიშით, დაამსხვრევს სტატისტიკას, როგორც სარკეს, რომელშიც ქვეყანა უნდა აისახოს თავისი მრავალფეროვნებით და მთლიანობით.**

რაც შეეხება სტატისტიკური ინფორმაციის კონფიდენციალობის დაუცველობას, რაც შეიძლება ამ „მინდა მოგცემ, მინდა არას“ საფუძველი გამხდარიყო, სტატისტიკის დღეს მოქმედ კანონშიც სამეწარმეო მაჩვენებელთა კონფიდენციალობა მთელი სიმკაცრითაა ხაზგასმული (იხ. დასახელებული კანონის 11-12 მუხლები).

ხოლო თუ ვინმეს მიაჩნია (ან მიაჩნდა), რომ ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო ორგანოსათვის წარდგენილი კვარტალური და წლიური რამდენიმე მაჩვენებლით შესაძლებელია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ დონესა და პოტენციალზე წარმოდგენის შექმნა და ამიტომ შეიძლება სტატისტიკაზე უარის თქმა, – ეს მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ ასეთ „მოაზროვნეს“ არასოდეს არც სტატისტიკური ინფორმაცია გაუანალიზებია და იმით უსარგებლია და, საერთოდ, თავი არც სახელმწიფოებრივი და მეცნიერული აზროვნებით შეუწუხებია.

და, საერთოდ, ასეთ პირობებში, რა სტატისტიკის კანონზე შეიძლება იყოს ლაპარაკი!..

სტატისტიკის ორგანოებისათვის დადგენილი წესით და მაჩვენებელთა სისტემით მონაცემების წარდგენა ასევე სავალდებულო უნდა იყოს, როგორც ეს საგადასახადო სამსახურებს აქვთ „ღვთისგან ბოძებული“!

ამირან გაბისონია,
საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი

მათქმევინეთ!

მესმის, მესმის სანატრელი...

თითქოს თავიდან იბადება ქვეყანა; ხალხმა დაიწყო ფაქტების ანალიზი, მათი რაციონალური შეფასება და შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი გზების ძიება. ახლებურად გააქტიურდა ახალგაზრდობა, იგი მიხვდა, რომ თვითონ არის თავისი ქვეყნის პატრონი, რომ გლობალიზაცია და ინტეგრაცია ქვეყნიდან გაქცევას და გადაკარგვას კი არ ნიშნავს, არამედ კომუნიკაციის საზღვრების გაზრდას, მსოფლიო ცივილიზაციასთან კავშირს და სხვებისაგან ყოველივე ახლისა და პროგრესულის ისე აღებას, რომ არ დაიკარგოს ამ დროს ჩვენი საუკეთესო ტრადიციები, ძირითადი ეროვნული ფასეულობანი და ქვეყანამ შეინარჩუნოს თავისი სახე.

მიდის დემოკრატიის ცნების ყოველმხრივი ანალიზი და ყველა გრძნობს იმას, რომ შემთხვევითი პოლიტიკოსების დრო წავიდა, რომ პოლიტიკა XXI საუკუნის ურთულესი სფეროა, რომელიც თავის ენას ქმნის საზოგადოებრივი ცნობიერების მთელი კულტურით: მეცნიერება ფილოსოფია, ხელოვნება. ამიტომაც ხალხზე აღარ მოქმედებს უკვე რომელიმე, ხელისუფლებაში მოსვლის სურვილით აჟიტირებული პოლიტიკური ლიდერის დემაგოგიური ეფექტი, ყველა ხვდება, რომ ამ გზით ვერავინ სიკეთეს ვეღარ მოიპოვებს მომავალში. დიდ ოკეანეშიც შეიძლება თურმე ცურვა პატარა ნავით.

ასე რომ, დღეს, როდესაც საზოგადოება ისწრაფვის რაციონალური მართვისა და ორგანიზაციისკენ, დამღუპველია დილეტანტიზმი პოლიტიკაში. პროფესიულად მოუმზადებელმა კადრებმა შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს ქვეყანას; ისინი ვერ გრძნობენ თავს სოციუმის წევრებად, აუცილებელ აკრძალვებსა და ვალდებულებებს აგდებულად ექცევიან და უპატივცემულობას იჩენენ კანონისადმი, რამაც უნდა მოახდინოს ინდივიდის დისციპლინირება და ნორმირება.

ცხოვრება ყოველ უბანზე მოითხოვს გონიერ მმართველს, ისეთს, ვისაც შეეძლება რეალობაში ორიენტირება ცოდნით, ზნეობრივი კულტურით და, რაც მთავარია, კანონის დაცვით, რათა საფრთხე არ შეექმნას სახელმწიფოს და ზიანი არ მიადგეს ქვეყანას. უაზრო კინკლაობის და ლანძღვის ადგილს თანდათან იკავებს სერიოზული დისკუსია, როგორც ინტელექტუალური კომუნიკაციის ჭეშმარიტი ფორმა, რომელიც განპირობებულია აზრთა სხვადასხვაობით და დაფუძნებულია მორალზე და პროფესიონალიზმზე. XXI საუკუნის საქართველოს კარებს აღებს ახალი, თავისუფალი ადამიანი, რომელმაც იცის, რომ არ უნდა დაელოდოს დახმარებებს გარედან, რომ გადარჩენის მთავარი ძალა მხოლოდ საკუთარ თავშია. საზოგადოებისათვის იწყება ახალი ეპოქა, ეპოქა რისკიანი და პასუხისმგებლობით სავსე ცხოვრების, როდესაც თითოეულმა უნდა გააკეთოს თავისი არჩევანი და მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რას მოიმოქმედებს იგი მომავალში.

არადა, საერთო ვითარება დღეს იმდენად მძიმეა, რომ შესაძლოა ჩვენ ყველანი ერთად დავიღუპოთ, თუ არ ვისწავლეთ ერთად გადარჩენა, არ დავეუფლეთ პროფესიულ აზროვნებას და ვერ შევძელით ფაქტების კეთილსინდისიერი ანალიზი, რის გარეშეც ვერ დამყარდება ადამიანებს შორის ურთიერთგაგება და ნდობა. ამ გზაზე დიდი ძალაა ჩვენი რელიგია, რელიგია ძლიერი ადამიანების, რომელთაც არ ეშინოდათ წინსვლის და გააჩნიათ პასუხისმგებლობა თავისუფლებაში. ჩვენი რელიგიური ეთიკა სულიერი გმირობის ეთიკაა, იგი გვასწავლის სიყვარულს, მსხვერპლის გაღებას, მიტევებას და კიდევ იმას, რომ ეგოიზმი და სიმხდალე მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან.

ჩვენი ისტორია გვიჩვენებს, რომ მხოლოდ რაინდული სულის მქონე ადამიანს შეუძლია გასწიროს თავი და პირადული კეთილდღეობა ქვეყნის ინტერესების გადასარჩენად, მას შეუძლია მორჩილებაც და წინააღმდეგობის გაწევაც. ყოველი მარცხის შემდეგ კი მზად არის, ყველაფერი დაიწყოს ისევ თავიდან. ჩვენს ფესვებზე გაზრდილმა კაცმა მოახერხა და განსაზღვრა თავის დროზე მსოფლიო პოლიტიკა და ვნახეთ ისიც, რომ ამიტომაც ეძებს ხალხი უკვე ცხადი პოლიტიკური მიზნების მქონე და მყარ პოლიტიკურ ღირებულებებზე ორიენტირებულ ლიდერს და აღარ სურს ამ როლში იხილოს პოლიტიკურ თანამდებობაზე მონადირე ვიღაც პიროვნება, ვისთვისაც პოლიტიკა შემოსავლიანი ხელობა და ძალაუფლებისთვის ბრძოლაა.

აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ სახელმწიფოებრივი აზროვნების კულტურას დიდი ზიანი მიაყენა განათლების სისტემაში არასწორად წარმართულმა რეფორმებმა, რამაც მოსპო და გაანადგურა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიალექტიკის პრობლემატიკის კვლევის უდიდესი ტრადიცია და თევზაძეების კლანის მრავალწლიანი, მიზანდასახული და დანაშაულებრივი მოქმედებით ფილოსოფია საუნივერსიტეტო განათლებაში მხოლოდ პოსტმოდერნისტულ ლაყბობაზე დავიდა.

შეწყდა ფიზიკის ფაკულტეტზე ფილოსოფიის სწავლება, განადგურდა ფიზიკის ფაკულტეტი და დაიხურა ის, დიდი ტრადიციების მქონე მეცნიერული ფილოსოფიის დარგი, რომლის მოღვაწეობის პოზიტიურ შედეგებს თავის დროზე ნილს ბორმაც კი მიაქცია ყურადღება. რეალური რეფორმების პირობებში კი ყოველივე ეს განათლების სისტემის ფორმირების ძირითადი საყრდენი უნდა გამხდარიყო. სხვათა შორის, ინგლისმა და ამერიკამ განათლების სისტემის რეფორმაში წინა პლანზე წამოსწიეს ფიზიკისა და მათემატიკის სწავლების და განვითარების ამაღლების საკითხი, ხოლო კემბრიჯის უნივერსიტეტმა, სადაც ერთ-ერთი მთავარი სალექციო კურსი მარქსის დიალექტიკის შესწავლას და კვლევას ეძღვნებოდა, ხაზი გაუსვა ფილოსოფიის სწავლების მაღალი დონის მნიშვნელობას საუნივერსიტეტო განათლებაში, ჩვენი ე.წ. „რეფორმატორებისთვის" კი „დიალექტიკა" საგინებელი სიტყვაა მხოლოდ და ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან მარქსიზმის უაზრო ლანძღვაში.

როგორ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს ეს, უნდა ითქვას მაინც, რომ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რეფორმის ძირითადი ხაზი და განათლების სისტემის მთელი სპეციფიკა განსაზღვრა თანდაყოლილმა კომპლექსმა და მისმა ასევე მწირმა გონებრივმა შესაძლებლობებმა დიალექტიკის სფეროში. გააკეთა რა „ღრმა განზოგადოება" თავისი გონებრივი მონაცემებიდან, გიგი თევზაძემ ეჭვის ქვეშ დააყენა, საერთოდ, ქართული ფენომენის უნარი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგში და, აქედან გამომდინარე, ცალსახად გადაწყვიტა ფიზიკის, მათემატიკის და მეცნიერული ფილოსოფიის ბედი უნივერსიტეტში.

ამ დროს საყოველთაოდ ცნობილია, რომ წლების განმავლობაში მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო ცენტრები სიამოვნებით იყვანდნენ ჩვენი უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს, ხოლო ამერიკაში, თქვენ წარმოიდგინეთ, ყურადღებას იმასაც კი აქცევდნენ, თუ რა ნიშანი ეწერათ მათ ფილოსოფიაში.

განათლების სისტემაში ანტისახელმწიფოებრივი და ანტიეროვნული რეფორმების შედეგად უნივერსიტეტმა დაკარგა მსოფლმხედველობრივი ორიენტირი, ყველა ფაკულტეტზე დაეცა სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების შიდა ხარისხი და გაძლიერების ნაცვლად (რასაც ვითომდა მიზნად ისახავდა რეფორმა), სწორედ მსოფლმხედველობრივი ორიენტირის უქონლობის გამო, სრულიად შეწყდა დისციპლინათაშორისი, დღეისათვის მეტისმეტად საჭირო და აუცილებელი ინტეგრაციული პროცესები; იგი ამჟამად, ფაკულტეტების ზერელე, მექანიკურ გაერთიანებებში გამოიხატება მხოლოდ.

ამრიგად, ეტყობა აუცილებელია ქვეყანაში პოლიტიკური კურსის შეცვლა იმისათვის, რომ უნივერსიტეტმა გაითავისუფლოს თავი თავისუფლების ინსტიტუტის კლანჭებიდან, დაიბრუნოს თავისი სახე და შეძლოს, იყოს მსოფლმხედველობითი ორიენტირი საზოგადოებისთვის; იმისათვის, რომ მომავალში ვეღარასოდეს ვეღარ მოახერხოს ვინმე სრულად საეჭვო ძალებით აღზევებულმა და ავადმყოფური კომპლექსებით შეპყრობილმა გიგი თევზაძემ, ვისაც თავის დროზე დოქტორის ხარისხი საკუთარმა მამამ სეს-ის (სწავლულ ექსპერტთა საბჭო) კანონმდებლობის აშკარა უხეში დარღვევებით მიანიჭა (რაზეც ბევრჯერ დაიწერა პრესაში და საკითხს საკონსტიტუციო სასამართლოც იხილავდა), მოურიდებლად ურიოს ხელი განათლების სისტემაში, დაამახინჯოს ახალგაზრდობის ცნობიერება და ღვარძლიანი ცინიზმით ნერვები უშალოს საქართველოს მოსახლეობას.

და ბოლოს: „კაცს ვერა შველის თურმე სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, თუ კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად გააზრებული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა", — წერდა ილია.

გილდა სიხარულიძე

დედამიწის ზურგზე

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა კვლავ ემუქრება მტრებს „დამსჯელი დარტყმითა" და „ცეცხლის ძარიშხლით" მისი რაკეტის ჩამოგდების მცდელობისთვის

ჩრდილოეთ კორეას განზრახული აქვს, გაუშვას „მშვიდობიანი თანამგზავრი" აპრილის დასაწყისში. ამერიკის შეერთებული შტატები, სამხრეთ კორეა და იაპონია ვარაუდობენ, რომ საკითხი შეეხება ბალისტიკურ რაკეტას. იაპონიის ზღვაში უკვე მორიგეობენ ამ ქვეყნების გემები.

* * *

ბელორუსი მკვლევარები მიიჩნევენ, რომ აფეთქება მინსკში დამოუკიდებლობის დღეს შეიძლება მოეხდინა „ღრმად კონსპირირებულ" ჯგუფს

უცხოელმა სპეციალისტებმა დაადასტურეს: ასაფეთქებელ მოწყობილობას, რომელიც გამოიყენეს მინსკში, მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია. ასეთი ბომბის მომზადების პროცესი სახიფათოა სიცოცხლისთვის. როგორც გამოძიებას მიაჩნია, ნაზავი მომზადდა სახლის პირობებში.

* * *

ობამას დროს ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ რჩება იმპერიად, განაცხადა უგო ჩავესმა ირანში

როგორც წესი, ვენესუელის ლიდერის სიტყვები ერთმნიშვნელოვანი არ ყოფილა. მას ბარაკ ობამა მიაჩნია იანკების იმპერიის პრეზიდენტად, მაგრამ იმედი აქვს, რომ იგივე გახდება ამერიკის შეერთებული შტატების პირველი დემოკრატიული პრეზიდენტი. ვაშინგტონის ურთიერთობა კარაკასთან მეტად გაუარესდა ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის დროს.

* * *

პირველი სკანდალი ისრაელის ახალ მთავრობაში: საგარეო საქმეთა მინისტრი ლიბერმანი არ აღიარებს ანაპოლისში მიღწეულ შეთანხმებას

ერთადერთი დოკუმენტი, რაც სავალდებულოა ისრაელის მთავრობისთვის, ეს არის „საგზაო რუკა", მიაჩნია მინისტრს. ანაპოლისში ამერიკის შეერთებული შტატების შუამდგომლობით მიღწეული შეთანხმებებისგან განსხვავებით, იგი პალესტინის სახელმწიფოს შექმნას აყენებს ეჭვქვეშ ისრაელის უშიშროების გარანტიებისგან.

* * *

„მის სამყარომ" მხიარულად გაატარა დრო გუანტანამოს ციხის დათვალიერების დროს

როგორც ქარაფშუტა ვენესუელელმა ლამაზმანმა დაწერა, იგი დაეხეტებოდა აღმოსავლეთ სანაპიროზე სამხედრო ბაზის ბიჭებთან ერთად. მათ მიჩვენეს, თუ როგორ მუშაობენ და რას აკეთებენ, შემდეგ ერთად ვტკბებოდით სრუტის სილამაზით.

* * *

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები: სულიმ იამადაევი შეიძლება გამხდარიყო მთვრალი რუსეთელი ტურისტების მსხვერპლი

ბატალიონ „ვოსტოკის" ექს-მეთაურის მკვლელობის შესახებ ახალ ვერსიასთან დაკავშირებით იტყობინება ერთ-ერთი დუბაელი ადვოკატი პოლიციის წყაროს მითითებით. დაკავებულია დაახლოებით 20 რუსი ტურისტი, ამჟამად დაცვის ქვეშ იმყოფება დაახლოებით 15 მათგანი. იამადაევის ბედი დღემდე უცნობია.

* * *

ბოინგ-767-ს ცაში ძრავამ უღალატა და გაჩნდა კვამლი კაბინაში

ამერიკული „იუნაიტედ აირლაინის" ავიაკომპანიის თვითმფრინავი 178 მგზავრითა და ეკიპაჟის 11 წევრით ლონდონიდან ვაშინგტონში მიფრინავდა. მას შემდეგ, რაც მფრინავს აცნობეს კაბინაში კვამლის შესახებ, თვითმფრინავი ავარიულად დაჯდა.

* * *

მილიონზე მეტი ჩინელი სტუდენტი, რომლებიც უცხოეთში სწავლობდნენ, სამშობლოში არ დაბრუნებულა



რეფორმისა და გამჭვირვალობის პოლიტიკის 30 წლის არსებობის მანძილზე ჩინეთიდან უცხოეთში სასწავლებლად გაემგზავრა 1,39 მილიონი სტუდენტი და ასპირანტი, მათგან სწავლების ვადის დამთავრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა მხოლოდ 320 ათასზე ნაკლები.

* * *

სომალიელმა მეკობრეებმა ინდოეთის ოკეანეში ხელში ჩაიგდეს გემი, რომელიც კრუიზს ასრულებდა

გემი დაიპყრეს აფრიკის სანაპიროდან დაახლოებით ათასი მილის დაშორებით. ექსპერტების აზრით, ეს მოწმობს, რომ მეკობრეები სულ უფრო მეტად აძლიერებენ თავიანთ აქტიურობას ინდოეთის ოკეანეში, ადენის სრუტის გვერდის ავლით, სადაც იმყოფება სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალების რამდენიმე ათეული გემი.

ჭიდაობა

ტრადიციის ერთგულნი

ერთი „ვერცხლი“, ორი „ბრინჯაო“ და გუნდური მეექვსე ადგილი – ასეთია ქართველ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მონაგარი ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე.

რომ „ჯვაროსანთა“ სპორტულ ღირსებას ძირითადად რეზერვისტები იცავდნენ, ბალტიისპირეთში ნაჩვენები შედეგი დადებითად უნდა შევაფასოთ.

ამ ფონზე გულდასაწყვეტია ხალიჩაზე ორწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებული ჩვენი საამაყო ფალავნის ლუკა კურტანიძის წარუმატებლობა – აფხაზეთის მკვიდრმა პირველივე ბრძოლა წააგო და უმედლოდ დარჩა.

ალსანიშნავია აზერბაიჯანული საჭიდაო სკოლის ტრიუმფი – ჩვენი მეზობლები ფინიშზე სამივე წონით კატეგორიაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ (ზელიმხან ჰუსეინოვი, ჩამსულვარა ჩამსულვარაევი, ხეტაგ გაზიუმოვიძ, რაც უპრეცედენტო ფაქტია: მათ ხომ რუსეთელთა ჰეგემონია დაამხეს.

ტურნირის დასკვნით დღეს სამშობლო 60 კილოში მოასპარეზე დებიუტანტმა მალხაზ ქურდიანმა ასახელა, რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა.

თუ გავითვალისწინებთ იმას,

ადამიანი – რეკორდი

კვირას გოდერძი გაგვახარებს



გულშემატკივარი კარგად იცნობს მძლეოსანსა და ფეხბურთელს, ექსტრემალური სპორტის დიდოსტატს, გინესის მრავალგზის რეკორდსმენს გოდერძი მახარაძეს, რომელიც კვირას ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ორი ახალი მიღწევის დამყარებას აპირებს.

ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის მორიგი მატჩის – „დინამო“ თბილისი – „ოლიმპი“ რუსთავი დაწყებამდე და შესვენებისას (15-დან 17 საათამდეძ ოზურგეთის რაიონის სოფელ ნაღობილევის მკვიდრი შემდეგ ასპარეზობებზე გვეპატიჟება:

I. თავზე გაჩერებული ფეხბურთის ბურთით სიარულის არსებული მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება (ავტორი – ჯერემი ლინჩი. 1773 მეტრი. ლონდონი. 2008 წლის 28 ნოემბერიძ.

II. 10 წუთის განმავლობაში თავით ფეხბურთის ბურთის კენწვლა და უწყვეტი (სულ ცოტა 80 და მეტი ბრუნი-ტრიალი), ანუ ახალი ექსტრემალურ-სპორტული მიმართულების დამკვიდრება მსოფლიოში.

მომავალი სანახაობის გენერალური სპონსორები არიან შპს „ჯეოშტურმი“ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლა, ორგანიზატორები – სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი, ეროვნული სტადიონის დირექცია და საქართველოს მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურობათა ხელშემწყობი კავშირი „გიორგი“, ხოლო ლონისძიებას გაუძღვება გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნის დებულების პრინციპით მოქმედი მსაჯთა კოლეგია და ალტერნატიული კომისია.

რაც შეეხება უახლოეს პერსპექტივას, გოდერძი მახარაძე არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში ახლადაშენებული ბურჯ-დუბაის 818 მეტრი სიმაღლის ცათამბჯენის დასალაშქრად ემზადება.

შემდგომი წარმატებები ვუსურვოთ ჩვენს სახელოვან თანამემამულეს.



ფეხბურთი

ვაი ასეთ გადარჩენას

ეს თამაშიც თუ წავაგეთ, ცხრა აპრილი დღეს დაიწყებაო, – გაისმა საქართველო – ჩერნოგორიის შესარჩევი მატჩის დასრულებამდე ათიოდე წუთით ადრე „დინამოს“ სტადიონის პრეს-ლოჟაში. ეს სიტყვები ლეგენდარულ ალექსანდრე ჩივაძეს ეკუთვნის, რომელსაც ავიც ეთქმის და კარგიც, დაეჯერება კიდეც და საკუთარ პოზიციას ასე ჰაიჰარად არ ამზეურებს. რადგან თავისი გულისტკივილი პრესასთან გამოხატა, ესე იგი ძალიან სერიოზულად ყოფილა საქმე, რაშიც აბსოლუტურად ვეთანხმებით.

განა მარტო ჩვენ? დარწმუნებულნი ვართ, ასევე ფიქრობს ქართული ფეხბურთის უამრავი ქომაგი, რომელსაც კიდევ უფრო აღიზიანებს ახლო წარსულიდან ნაცნობი ჰანგები, შეხვედრისშემდგომ პრესკონფერენციაზე უკვე მერამდენედ რომ გაჟღერდა ჰექტორ რაულ კუპერის ბაგეთაგან: „...მთავარია, სწორი მიმართულებით მივდივართ და ბიჭებისაც მჯერა. შესაძლოა, ჩემს აზრს ბევრი არ ეთანხმება, მაგრამ პირადად ასე მიმაჩნია“.

შე კაი კაცო, თუ სწორი მიმართულებით მიდიხართ, შვიდ ოფიციალურ მატჩში ერთი გამარჯვება მაინც არ უნდა გაურიო წამლად?! ასეთი ანტირეკორდი ხომ შენს წინამორბედებს ჭირესსა და ტოპმიოლერსაც არ დაუმყარებიათ! თუ გვიპასუხებთ, რომ მაშინდელ ნაკრებში უფრო მაღალი დონის ფეხბურთელები თამაშობდნენ, ბუნებრივია, იბადება კითხვა: მაშ, დღევანდელი ბიჭების როგორღა გჯერა?

სხვათა შორის, კვიპროსელებთან რამდენიმე დღის წინანდელი შეხვედრისგან განსხვავებით, „ჯვაროსნები“ ამჯერად სანახევროდ შეცვლილი შემადგენლობით ცდილობდნენ საწადელის მიღწევას, მაგრამ, იმ ცნობილი გამოთქმისა არ იყოს, შესაკრებთა ადგილების შეცვლით ჯამი არ შეიცვალა – ტაბლოს ბოლომდე შემორჩა სამადლო ნულები.

რადგან ეს წერილი მოსალოდნელ ვნებათაღელვაზე საუბრით დავიწყეთ, ბარემ იგივე თემით დავასრულებთ. იმავე დღეს არგენტინელმა გულშემატკივრებმა მარადონას გაწვრთნილ საყვარელ ეროვნულ ნაკრებს პირველი, თუნდაც სასტიკი მარცხი არ აპატიეს და აეროპორტში ქვების სროლით დახვდნენ. საინტერესოა, როდემდე მოუთმენენ თანამემამულეებს ქართველები – ნდობის ვოტუმი ხომ თანდათან იწურება.

გაუწყებთ ოთხშაბათის რაუნდის სრულ შედეგებს.

ევროპა

I ჯგუფი. დანია – ალბანეთი 3:0, უნგრეთი – მალტა 3:0.

დანია, უნგრეთი – 13-13, პორტუგალია, შვედეთი, ალბანეთი – 6-6, მალტა – 1 ქულა.

II ჯგუფი. შვეიცარია – მოლდოვა 2:0, საბერძნეთი – ისრაელი 2:1, ლატვია – ლუქსემბურგი 2:0.

საბერძნეთი, შვეიცარია – 13-13, ლატვია – 10, ისრაელი – 9, ლუქსემბურგი – 4, მოლდოვა – 1 ქულა.

III ჯგუფი. ჩრდილოეთ ირლანდია – სლოვენია 1:0, ჩეხეთი – სლოვაკეთი 1:2, პოლონეთი – სან-მარინო 10:0.

ჩრდილოეთ ირლანდია – 13, სლოვაკეთი – 12, პოლონეთი – 10, ჩეხეთი, სლოვენია – 8-8, სან-მარინო – 0 ქულა.

IV ჯგუფი. ლიხტენშტეინი – რუსეთი 0:1, უელსი – გერმანია 0:2.

გერმანია – 16, რუსეთი – 12, ფინეთი – 7, უელსი – 6, აზერბაიჯანი, ლიხტენშტეინი – 1-1 ქულა.

V ჯგუფი. ბოსნია – ბელგია 2:1, თურქეთი – ესპანეთი 1:2, ესტონეთი – სომხეთი 1:0.

ესპანეთი – 18, ბოსნია – 12, თურქეთი – 8, ბელგია – 7, ესტონეთი – 5, სომხეთი – 1 ქულა.

VI ჯგუფი. ანდორა – ხორვატეთი 0:2, ინგლისი – უკრაინა 2:1, ყაზახეთი – ბელორუსი 1:5.

ინგლისი – 15, ხორვატეთი – 10, უკრაინა – 7, ბელორუსი – 6, ყაზახეთი – 3, ანდორა – 0 ქულა.

VII ჯგუფი. საფრანგეთი – ლიტვა 1:0, ავსტრია – რუმინეთი 2:1.

სერბეთი – 12, საფრანგეთი – 10, ლიტვა – 9, ავსტრია – 7, რუმინეთი – 4, ფარერები – 1 ქულა.

VIII ჯგუფი. საქართველო – ჩერნოგორია 0:0, ბულგარეთი – კვიპროსი 2:0, იტალია – ირლანდია 1:1.

იტალია – 14, ირლანდია – 12, ბულგარეთი – 7, კვიპროსი – 4, ჩერნოგორია, საქართველო – 3-3 ქულა.

IX ჯგუფი. ჰოლანდია – მაკედონია 4:0, შოტლანდია – ისლანდია 2:1.

ჰოლანდია – 15, შოტლანდია – 7, ისლანდია – 4, მაკედონია – 3, ნორვეგია – 2 ქულა.

სამხრეთ ამერიკა

XII ტური. ბოლივია – არგენტინა 6:1 (!ძ, ჩილე – ურუგვაი 0:0, ბრაზილია – პერუ 3:0, ეკვადორი – პარაგვაი 1:1, ვენესუელა – კოლუმბია 2:0.

სატურნირო მდგომარეობა: პარაგვაი – 24, ბრაზილია – 21, ჩილე – 20, არგენტინა – 19, ურუგვაი – 17, კოლუმბია, ეკვადორი – 14-14, ვენესუელა – 13, ბოლივია – 12, პერუ – 7 ქულა.

ამხანაგური მატჩი. ახალგაზრდული ნაკრებები. საქართველო – ბელორუსი 0:1.

ფაქტი

დაბრუნებაც ასეთი უნდა

ტალანტი მარადიულიაო, რონალდოზე შეიძლება ითქვას.

ტრავმებით გატანჯული, უამრავ ოპერაციაგადატანილი და საკმაოდ ჩასუქებული „კიჟა“ ფეხბურთს „კორინტიანსის“ მაისურით დაუბრუნდა. და მერე როგორ – 32 წლის ფენომენმა ბრაზილიის სან-პაულუს შტატის ჩემპიონატის 7 შეხვედრაში 6(!ძ გოლი გაიტანა, მათ შორის უკანასკნელი – „იტუანოს“ კარში. ეს მატჩი მასპინძლებმა 3:0 მოიგეს.

დავძენთ, რომ აღნიშნულ შეხვედრაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა კიდევ ერთხელ დაამწუხრა მეტოქე, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობის გამო ბურთი არ ჩათვალა.



◎ დაუმარცხებელი სიცოცხლე

მირზა გელოვანის ოთხმოცდამეთორმეტე გაზაფხული

„აქ საკმაოდ დიდი თოვლია და გაცივნებული ვიძახი: უდაბნო, უდაბნო“ – წერს 1935 წელს გრიგოლ ცეცხლაძეს, მარტის თოვლით აღფრთოვანებული და ექსტაზში შესული პოეტი მირზა გელოვანი.

მსგავსი უჩვეულო და მოულოდნელი დიდთოვლობისას, მისი დაბადების 92-ე წლისთავზე, პოეტის სახელობის ახალგაზრდობის ბიბლიოთეკას თბილისში ამას წინათ ესტუმრნენ მირზა გელოვანის სახელობის თიანეთის №1 საჯარო სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები. აქ მათ უამრავი მსმენელი და მირზას პოეზიის თაყვანისმცემელი ელოდათ.

„ცხოვრება და სიკვდილი მირზა გელოვანისა“, ასე ერქვა ლიტერატურულ საღამოს, რომელიც წარმოადგინეს თიანელმა მოსწავლეებმა. გამოეფინას, პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, უძღვებოდა ლონისძიების ორგანიზატორი, მემორიალური სახლ-მუზეუმის დირექტორი ციცინო გაგიდაური. შემდეგ იყო ლექსი და სიმღერა, სადაც მირზას სინატიფით და სილალით სავსე ლირიკასთან ერთად, მისდამი მიძღვნილი სტრიქონებიც პოეტის უკვდავების სიმბოლოდ ჟღერდა. დამსწრეთ სიტყვით მიმართა სკოლის დირექტორმა ნათელა კოჭლამაზაშვილმა. სკოლის ფოლკლორულ ანსამბლთან ერთად სალამო დაამშვენა სტუდენტურმა კვარტეტმა (თამუნა ზვიადაური, სოფიკო მგელიაშვილი, ნატა სისაური, ლალა ტურაშვილი და ქეთევან შარმიაშვილის ხელმძღვანელობით.

მირზა გელოვანის უფაქიზეს ლირიზმზე ისაუბრეს: მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ ვაჟა ოთარაშვილმა, მსახიობმა ზურაბ ქაფიანიძემ, პოეტებმა: ერეკლე სალღობანმა, მზია ხეთაგურმა, თამაზ ბარვაჭაძემ, ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ნათელა ჭინიაშვილმა. საღამოს ესწრებოდა ნანა ჭყონია (მირზას დისშვილი).

მირზა გელოვანის ოთხმოცდამეთორმეტე გაზაფხული ვდავი არ იყო, მან თავისი ლაგაზიპოეზიითა და ხანმოკლე სიცოცხლით დაგვანახვა. პოეტს, რომელსაც არათუ შინ დაბრუნება, ქართულ მიწაში დამარხვაც არ ეღირსა, ყველა ნამდვილი ქართველის ეს გულისტკივილი, სევდანარევი და ცრემლშეპარული სიტყვებით დამსწრე საზოგადოებას საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების ერთ-ერთმა ლიდერმა, წარმოშობით თიანელმა ქალბატონმა ეთერ მათურელმა შეახსენა და მირზას ნეშტის მშობლიურ მიწაში დავანებისთვის მოუწოდა, რასაც დარბაზში თანაგრძნობის ნიშნად ხანგრძლივი ტაში მოჰყვა.

ბიბლიოთეკის გამგე ქეთევან ნიკურაძემ მადლობა გადაუხადა თიანელ სტუმრებს და მემორიალური სახლ-მუზეუმისა და მირზა გელოვანის ახალგაზრდობის ბიბლიოთეკის ოცწლიანი მეგობრობის, ამ ხნის განმავლობაში არაერთი ერთობლივი ღონისძიების ჩატარების შესახებ აღნიშნა და შემდგომშიც მრავალშეამიერი ისურვა.

იქვე, სიმბოლურად გაშლილ სუფრაზე, ითქვა ღვთის სადიდებელი, მირზას შესანდობარი და ამაღლებული სადღეგრძელო მამულისა და ქართული ენისა...

იზა ჯაჭვაძე

არბიტრაჟის უწყება

საქმე №26-2009

ი/მ **„ჯანო ძუძუაშვილს“**, მცხოვრებს **ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, I მ/რ, მე-7ა კორპუსი, ბინა 46,** საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი 2009 წლის 15 აპრილს, 16 საათზე, მისამართზე: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №50, მე-2 სართული, გიბარეიბთ მოპასუხის სახით საქმეზე **ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“** საარბიტრაჟო პრეტენზიის გამო ი/მ **„ჯანო ძუძუაშვილს“, კარინა ოგანოვას და ვიქტორ ლალიაშვილის** მიმართ თანხის დაკისრების და ქონების რეალიზაციის შესახებ.

გამოუცხადებლობის შედეგები

„კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის თანახმად, თუ გამამართლებელი მიზეზების გარეშე მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში ან არ წარმოადგენს თავის პოზიციას მხარეთა მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მეორე მხარე ითხოვს განხილვის გადადებას.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების 7.7 მუხლის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო 7.3 მუხლით დადგენილი წესით, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მისი დასწრების გარეშე. თუ მხარე საპატიო მიზეზით ორჯერ არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, იგი ვალდებულია უზრუნველყოს შემდგომ სხდომაზე თავისი ან თავისი წარმომადგენლის სავალდებულო და აუცილებელი დასწრება, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე განიხილება მისი დასწრების გარეშე.

არბიტრაჟის უწყება

საქმე №26-2009

ვიქტორ ლალიაშვილს, მცხოვრებს **ქ. თბილისი, გამსახურდიას 14ა, ბინა 55,** საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი 2009 წლის 15 აპრილს, 16 საათზე, მისამართზე: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №50, მე-2 სართული, გიბარეიბთ მოპასუხის სახით საქმეზე **ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“** საარბიტრაჟო პრეტენზიის გამო ი/მ **„ჯანო ძუძუაშვილს“, კარინა ოგანოვას და ვიქტორ ლალიაშვილის** მიმართ თანხის დაკისრების და ქონების რეალიზაციის შესახებ.

გამოუცხადებლობის შედეგები

„კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის თანახმად, თუ გამამართლებელი მიზეზების გარეშე მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში ან არ წარმოადგენს თავის პოზიციას მხარეთა მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მეორე მხარე ითხოვს განხილვის გადადებას.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების 7.7 მუხლის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო 7.3 მუხლით დადგენილი წესით, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მისი დასწრების გარეშე. თუ მხარე საპატიო მიზეზით ორჯერ არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, იგი ვალდებულია უზრუნველყოს შემდგომ სხდომაზე თავისი ან თავისი წარმომადგენლის სავალდებულო და აუცილებელი დასწრება, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე განიხილება მისი დასწრების გარეშე.

2009 წლის 30 აპრილს, 12 საათზე ტარდება სს „ალფა პლიუსი 2007“-ის აქციონერთა კრება, მისამართზე: მოსკოვის გზატკეცილი №25.

დღის წესრიგი:

1ძ 2008 წლის დივიდენდის განაწილება;

2ძ აუდიტის ჩატარება.

სს „ალფა პლიუსი 2007“-ის დირექცია

შპს „ნაბელლავი“ (ს/ნ 214 103-064ძ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს, გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ფოთი, მშვიდობის ქ. №4, ტელ: 899 35 01 69.

შპს „სი-თი კომპანი“ ს/კ 205 176 986 აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ფალიაშვილის 80 ა. ტელ. 22-62-39.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

98-65-87; 899 32-85-76.

გახსენება

ირაკლი ჯიშიაშვილი

დღეს შენი დაბადების დღეა, ირაკლი. პირველად მოვიდა აპრილი უშენოდ, პირველად აპრილის სამი. 28 წლის გახდი მხოლოდ. ძნელია შენზე წარსულში საუბარი. თითქოს არც არსად წასულხარ. ისეთი შეგრძნება გვაქვს – სადაცაა გამოჩნდები, მოგვესმყვარულები, როგორც გჩვეოდა და... წახვალ...

იმ იდუმალ სიკვდილს ასე ულვთოდ რომ მოგეახლა, შენ თვითონ დაძლევდი, გვწამს...

იანვრის ღამევ... ნათელს უჩვევო,
როგორ გაგენდე, თურმე... ამაოდ...
აპრილი მოვა... აწი უჭემოდ,
ქეთილსხენებად გექეც, მამაო!
ლოცვაა: ნატა, ნიკოლოზ... ვშფოთავ,
იმედი: საბა, ტატო და შოთა!
ჯვარცმიდან გზაა... ლურჯი... სამოთხის,
ია-ვარდებით, მიწით ნუ მფარავთ,
შენდობას არ გთხოვთ... სულს ნუ ამომხდით,
ინება ასე რადგან უფალმა.
არის მართალი ვინაც გაიღო,
შეწევნად ხორცი და ხმობს განაჩენს,
ვერ დაიჯერებთ... ვხედავ განიღო,
ივერთ ცის კარი და... მე გადავრჩი!
ლოცვაა: მამა, ნიკოლოზ, ნატა,
იმედი: საბა, შოთა და ტატო!

საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის
გედამხედველობის დირექციის თანამშრომლები.

მარლენ მეტრეველი

ჩემო საყვარელო ძმაო მარლენ!

როგორ თანდათან გაუსაძლისი ხდება უთქვენოდ ყოფნა. რომ იცოდე როგორ მენატრებით, როგორ მინდა თქვენი მოფრენა, თქვენთან ყოფნა, ჩემო სიამაყევ და სიხარულო, დიდო სევდავ და მოურჩენელო ტკივილო. უშენობით გამოწვეულ ტკივილს კიდევ ორი დიდი ტკივილი დაემატა – დედა და მამა... სამ თვეში შენთან წამოვიდნენ ისე, რომ თავიანთი ტკივილით არც კი შემაწუხეს.

თითქოს განგებამ ისმინა დედას ვედრება – „ღმერთო ისე მომკალი, რომ ნინო არ შევაწუხოო“. როგორი გამორჩეულიც იყვნენ თავიანთი კეთილზნეობით და პატიოსნებით, სიკვდილიც გამორჩეული ჰქონდათ, ჩუმ-ჩუმად გამომეპარნენ შენთან, ჩემო საყვარელო ძმაო.

მენატრებით, ძალიან მენატრებით.

დედას დაძახებაც მენატრება „შემოგევლოს შენი დედაო“.

მამას საოცარი ღიმილიც მენატრება, ჩემს დანახვაზე რომ მოეფინებოდა მის ლამაზ სახეს. 2009 წელი გამორჩეული იყო შენთვის, რადგან სამივენი ერთად იყავით. მე კი თქვენს ცარიელ სახლში (დაბა ადიგენში, იქ სადაც დედას და მამას სული ტრიალებსძ სანთელი დაგინთეთ და მოგილოცეთ ახალი წელი.

ჩემო საყვარელო ძმაო, შენი მონაგარი იზრდება, ორი შვილიშვილის ბაბუა ხარ. ამას რომ მოსწრებოდი, შენზე ბედნიერი კაცი ამქვეყნად არავინ იქნებოდა. ირინა ვაჟკაცურად უძღვება შენს ლამაზ ოჯახს.

ძმაო, დაბადების დღეს გილოცავ. 3 აპრილი ხომ შენი დაბადების დღეა, ნათელი და სანთელი არ მოკლებოდეს თქვენს მოგონებებს. ღმერთმა ნათელში გამყოფოთ და სასუფეველი დაგიმკვიდროთ, ჩემო ძმაო, დედა და მამა.

შენი და ნინო

ცისანა ვაშაკიძე-კულდონაშვილი ოჯახით დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ნოდარ კონსტანტინეს ძე
ჩუხრუკიძე

პანაშვიდი 3 IV, 16 სთ. გამოსვენება 4 IV, 14 სთ. მისამართი: ლაილაშის №2.

შპს „ახალი ქსელების“ და „ახტელის“ დირექტორატი და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ქალბატონ ნინო მასხულიას მეუღლის

ზურაბ მეგენეიშვილის
გარდაცვალების გამო.

შპს „სისტემ-ნეტის“ და „ფოპტნეტის“ დირექტორატი და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ქალბატონ ნინო მასხულიას მეუღლის

ზურაბ მეგენეიშვილის
გარდაცვალების გამო.

ᲬᲙᲔᲞᲚᲘᲙᲐ

ჰალსტუხი დიდად უკალორიო რამეა!

კიდევ ერთხელ ილუზიისა გამო

ვერა და ვერ გადაეჩვია ეს ჩვენი დალოცვილი პირველი პირი კვეხნასა და ბაქიბუქს, გასული აგვისტოს ამბებმაც ვერ ასწავლა ჭკუა და ვერ გამოსტანინა დასკვნა...

აგერ „გუშღამ“ ჩამოფრინდა ამერიკელი სამხედრო დიიიდჩინოსანი, შეხვდა რამდენიმე წუთით ჩვენს უმაღლეს მთავარსარდალს და... დააწყებინა ტრაბახი და დააყენებინა კორიანტელი.

თურმე ქართული არმია განვითარების სრულიად ახალ ეტაპზე გადადის, სულ სხვა შეიარაღება გვექნება, თვისებრივად სულ სხვაგვარი შეიარაღებული ძალები გვეყოლებიან, სულ სხვა, უმაღლეს დონეზე ავდივართ, ნურავის ნუ ეძნება ილუზია და სხვა და სხვა.

გავჩუმდეთ მაინც და იმ დიდ ჩრდილოელ მეზობელს „დამატებით“ ნუ ვაღიზიანებთ, თორემ ღმერთმა ნუ ქნას და, კიდევ რომ დაგვცხოს და ახლა უკვე „ახალ“, უფრო „მაღალ“ დონეზე დაგვამარცხოს და დაგვარბიოს, მაშინ?..

...ილუზიას მგონი თვითონ იძახით, გახტონო პრეზიდენტო. ჩემი სარჩევი არცრაგჭირთ, მაგრამ ცოტა წინდახედულად, ფრთხილად ვილაპარაკოთ ილუზიებზე, „სამხედრო ასპექტში“, რამდენიმე თვის წინათ მოხდარს ასე ადვილად ნუ დავივიწყებთ და კვლავ ჰალსტუხის სალეჭად ნუ გავიხდით საძმეს. ერთი ჟორჟ ბუშმა (უცროსმაძ გაგვიკეთა რამე და მეორე ბარაკობამა „შეგვეყუდება“.

ლუკა გორგაძე

ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲔᲑᲘ

რაც „გაბა“, ის — შვილი!

ერთი უცნაური ანდაზა გვაძვს ქართველებს: „ოგოლო, ვის „მოკლავო“და, ვინც გამზარდაო“... თუმცა, რაღა უცნაური – ყოველ ნაბიჯზე საცნაური!...

გოკა გაბაშვილს ვუსმენდი ამას წინათ; შევარდნაძის ლანძღვა-გინებით იჯერებდა გულს... მამამისმაც, კოტე გაბაშვილმაც, არაერთხელ გაიმეტა ექსპრეზიდენტი... არადა, მოსკოვიდან ჩამოსულ შევარდნაძეს ერთ-ერთი პირველი ის დაუდგა გვერდით და თანამდებობას თანამდებობაზე იცვლიდა. როცა გერმანიაში ელჩად გაამწესეს, საჯაროდ განაცხადა: „**მე საქართველოს ელჩი კი არა, შევარდნაძის საქართველოს ელჩი ვარო“...**

და „კლავს“ „ოგოლი“ თავის გამზრდელს... შვილიც წამოეშველა...

უწმინდური „ჩვენებური“ მაიმუნები

მიხეილ ჯავახიშვილი წერდა 1926 წელს: „აღმოსავლეთში მაიმუნი გიულმან ანადგურებს ბალებს, ნათესებს, მაგრამ ხელს ვერავინ ახლებს – წმინდაა. ჩვენში – პრესა და წვრილფეხა მემარცხენე მწერლობაც იგივე გიულმან მაიმუნია“...

ვაი, როგორ ინაშენა ჩვენში „გიულმან მაიმუნმა“, რა ნოყიერი ნიადაგი გამოდგა მისთვის ქართული პარლამენტი, ხელისუფლება და... ნადგურდება არა მხოლოდ ბალები, ნათესები... საქართველო ნადგურდება მთლიანად...

და რაც მთავარია, ჩვენებური მაიმუნი უწმინდურია...

გიორგი გოგოლაშვილი

ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲖᲔ

როგორც ნამდვილმა მამაკაცმა...

რუსეთული ტელევიზია წარმატებით აგრძელებს შოუს „ცეკვები ვარსკვლავებთან“. პოპულარული პროექტის ყველაზე პიკანტური მომენტები მონიშნა გაზეთმა „კომსომოლსკაია პრავდამ“. ერთ-ერთის მონაწილე აღმოჩნდა ირაკლი ფირცხალავა.

თავისი პარტნიორი ინა სვეჩნიკოვა რომ იხილა აფრიალებულ, ვარდისფერ, ზურგზე ღრმადამოჭრილ კაბაში, ირაკლი შესამჩნევად გამოცოცხლდა. გასაგებია, რატომაც (თქვენც ხომ მიხვდით, ძვირფასო მკითხველებო?ძ...

აქვე სათქმელად, როგორც ნამდვილ მამაკაცს შეეფერება, ირაკლიმ, პირველ ყოვლისა, ინა დედას გააცნო. ახლა კი მზრუნველობით უზიდავს ქალიშვილს საგრიმიოროში ნარ-ნარ სალათს და ზოგჯერ ჩანგლითაც აჭმევს...

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

დაღუპულ მეთევზეს უშედეგოდ ეძებენ

შავ ზღვაში 21 მარტს თევზაობისას დაღუპულ 35 წლის ჯამბულ ჯგერენაიას ამ დრომდე უშედეგოდ ეძებენ.

დაღუპულის ოჯახის წევრების თხოვნით საძიებო ღონისძიებებში ჩართული არიან სანაპირო დაცვის კატარღები, სათევზაო სეინერები და სხვა სამაშველო საშუალებები, თუმცა ამ დრომდე არანაირი შედეგი არ არის, – განაცხადა ფოთის მაჟორიტარმა დეპუტატმა თეიმურაზ წურწუმიამ.

მისივე თქმით, ძიება თურქეთის საზღვრამდე ხორციელდება, რადგან, შესაძლოა, ზღვის დინებას ჯგერენაიას გვამი ამ მიმართულებით წაელო.

ჯგერენაია, მეზობელთან სერგო ფაჩულიასთან ერთად 21 მარტს გვიან ღამით ღია ზღვაში სათევზაოდ გავიდა, უეცრად მოვარდნილმა შტორმა მათ ნავი გადაუბრუნა, რის შემდეგაც ფაჩულიამ ნაპირამდე გამოცურვა მოახერხა, ხოლო ჯგერენაია დაიხრჩო.

ინტერპრესნიუსი

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

ᲐᲜᲔᲙᲓᲝᲢᲔᲑᲘ

ორმოცი წელი – ეს ის დროა, როდესაც დროა სიცოცხლის დაწყების დამთავრებისა, და მისი დამთავრების დაწყება.

* * *

– ოდესმე ქმარს წაუწყრია შენთვის საწოლში უცხო მამაკაცთან ერთად?

– არასოდეს. მხოლოდ ნაცნობებთან და ახლობლებთან ვუნახივარ...

* * *

მეტროს მატარებელმა უეცრად დაამუხრუჭა. ასაკოვანმა მამაკაცმა თავის შესაკავებლად უნებლიეთ გვერდით მდგომ ქალს მხარზე წაავლო ხელი.

– უკაცრავად, არ შეგეძლოთ, სხვა რამისთვის წაგევლოთ ხელი?

– ქალბატონო, ძალიან გთხოვთ, ნუ მაცდუნებთ!

* * *

იმისთვის, რომ ეს ყავა დაგვეყნებინა, საუკეთესო მარცვლები შევარჩიეთ. ის კი, რაც დარჩა, მოვხარშეთ.

ᲙᲐᲓᲠᲘ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.